CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 23 იანვარი, 2009 წელი. №13 (2051) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

„ჩვენ დავძარით რამდენიმე საკითხი"
A3



რუსი ოლიგარქის საიდუმლო
A8



რას გვთავაზობენ
A10



# ფორს-მაჟორი

## თბილისის პასუხი მოსკოვის მოთხოვნაზე



AFP ' 2009

გრიგოლ ვაშაძე.

დიმიტრი ავალიანი

*საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, რუსეთმა საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსპექტირება მოინდომა. მოსკოვის მოთხოვნას "ვენის დოკუმენტის" საფუძველზე "შემფასებელი ვიზიტისა და სავერიფიკაციო ინსპექტირების" ჩატარების შესახებ, თბილისმა რუსეთის მიმართ ფორს-მაჟორის გამოცხადებით უპასუხა – რუსეთი საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსპექტირებას მანამ ვერ ჩაატარებს, სანამ ქვეყნის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარებს არ გაიყვანს. რუსეთი კვლავაც განაგრძობს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მანდატებით მანიპულირებას, რომლებსაც თავად არაფრად აგდებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## იუშჩენკოს და ტიმოშენკოს მორიგი უთანხმოება

### უკრაინის პრეზიდენტი რუსეთთან მიღწეული შეთანხმების ანულირებას აპირებს

უკრაინა, შესაძლოა, ცალმხრივად გამოვიდეს გაზის მიწოდების შესახებ მიღწეული შეთანხმებიდან, რომელსაც მიმდინარე კვირის დასაწყისში უკრაინისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრებმა იულია ტიმოშენკომ და ვლადიმირ პუტინმა მოაწერეს ხელი. კონტრაქტის გაუქმების გადაწყვეტილება შესაძლოა, უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მიიღონ, რომელიც პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს თავმჯდომარეობით დღეს გაიმართება. ამის შესახებ უმაღლესი რადას საწვავ-ენერგეტიკული კომპლექსის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლაი მარტინენკომ უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ წევრზე დაყრდნობით განაცხადა.

ცოტა ხნის წინ ვიქტორ იუშჩენკომ პუტინი-ტიმოშენკოს ხელშეკრულება გააკრიტიკა და მას უკრაინისთვის არამომგებიანი უწოდა. თავის მხრივ, უკრაინის პრემიერი საპირისპიროს ამტკიცებს. მისი მისამართით პრეზიდენტის ბრალდებების კომენტირებისას ტიმოშენკომ განაცხადა, რომ უკრაინამ რუსეთთან "გაზის მოლაპარაკებების" დროს საკუთარი ინტერესები დაიცვა.

**"რუსეთთან "გაზის დოკუმენტებზე" ხელის მოწერით უკრაინამ ყველა მიმართულებით გაიმარჯვა და მიიღო ის, რაც მას ასეთი სერიოზული კონფლიქტის შემდეგ არ უნდა მიეღო,"** – განაცხადა უკრაინის მთავრობის მეთაურმა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## რუსული მადით შეშინებული სეპარატისტები

*სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერები, როგორც ჩანს, რეალობას უბრუნდებიან და იმის გაცნობიერებას იწყებენ, თუ რაოდენ ძვირი შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთის მიერ აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" აღიარების ფასი. ყოველ შემთხვევაში, ენგურჰესის მენეჯმენტის ირგვლივ ბოლო პერიოდში ატეხილმა სკანდალმა აფხაზეთის დე ფაქტო მმართველებს კარგად დაანახა რუსეთის მგლური მადა. ამიტომ სოხუმიდან, ბოლო წლების განმავლობაში პირველად, საქართველოს ხელისუფლების მისამართით, კონსტრუქციული თანამშრომლობის წინადადება წამოვიდა. "ენგურჰესი ერთადერთია, რაც ქართულ და აფხაზურ მხარეებს საერთო დარჩათ და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ბოლო შანსი ხელიდან არ გავუშვათ," - აცხადებს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. მისი თქმით, აფხაზური მხარე მზად არის, ენგურჰესის საკითხში კომპრომისებზე წავიდეს, თუ შესაბამის მზადყოფნას ქართული მხარეც გამოთქვამს.*

გიორგი ასანიშვილი

ნიშანდობლივია, რომ სერგეი შამბამ ეს განცხადება რუსულ კომპანია "ინტერ რაოს" ხელმძღვანელის სოხუმში ვიზიტის შემდეგ გააკეთა. როგორც ჩანს, ევგენი დოდთან მოლაპარაკების დროს სეპარატისტები მიხვდნენ, რომ ენერგეტიკულ შიმშილსა და მოსკოვის უსიტყვო მორჩილებას შორის უწევთ არჩევანის გაკეთება. ამიტომ, "მეგობარ" რუსეთთან შეთანხმებას, ისევ "მტერ" საქართველოსთან საერთო ენის გამონახვა ურჩევნიათ.

გაგრძელება A4 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კახეთის რეგიონში 119 კმ. საავტომობილო გზას და ერთ ხიდს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება. **ჯი-იჩ-ენი**

**თბილისი.** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ცხელი ხაზი ამოქმედდა. ცხელი ხაზზე - 070 ზარის განხორციელება უფასოა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** დღეს ვარკეთილში, აფხაზეთის მთავრობისა და ამერიკული მხარის ერთობლივი დაფინანსებით, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის განახლებული სამედიცინო ცენტრი გაიხსნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** თბილისში უცხოეთიდან შემოტანილ მეორადი მოხმარების ტანსაცმელს კონკურენტი გაუჩნდება. გაზაფხულზე ახალი ფაბრიკა იხსნება, რომელიც მეორად ტანსაცმელს გადაამუშავებს. ფაბრიკა საქართველო-ჰოლანდიის ერთობლივი ინვესტიციით ამოქმედდება. **მედიანიუსი**

**თბილისი.** დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, თბილისში მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში საერთო სარგებლობის ნაგავსაყრელების გაუქმება იწყება. კორპუსში ჩამონტაჟებულ ნაგავსაყრელებს კონტეინერული სისტემა ჩაანაცვლებს. **მედიანიუსი**

**თბილისი.** პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის ექიმ მარინა მანჯგალაძის განცხადებით, თებერვლიდან ლეიშმანიოზის შემთხვევების გახშირებაა მოსალოდნელი. **მედიანიუსი**

**თბილისი.** ლაგოდეხში შესაძლოა, საკონსერვო ქარხანა გაიხსნას. მაისში ზაპოროჟიეს ხელისუფლების წარმომადგენლები ლაგოდეხში ჩავლენ და სოფლის პოტენციალს გაეცნობიან. **პირველი**

### ბაგაფშის არალეგიტიმური მოთხოვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაია არალეგიტიმურს უწოდებს სერგეი ბაგაფშის მოთხოვნას, უარი თქვან იმ დიპლომატების მიღებაზე, რომელთა ქვეყანაც აფხაზეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემაზე უარს აცხადებს. ბაგაფშმა ამის შესახებ გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელ იოჰან ვერბეკესთან შეხვედრაზე განაცხადა.

აქიშბაიას თქმით, დიდი ხანია სეპარატისტები მიეჩვივნენ ულტიმატუმის ენაზე საუბარს არა მარტო საქართველოსთან, არამედ მთელ მსოფლიოსთან.

"რაც შეეხება აფხაზეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემის და დიპლომატების საკითხს, ეს საერთაშორისო ნორმებით რეგულირდება. მათ უნდა გაიგონ, რომ როგორი არალეგიტიმურიც არის მათი დამოუკიდებლობა, ასევე არალეგიტიმურია მათი მოთხოვნა," - აღნიშნა მალხაზ აქიშბაიამ.

*ჯი-იჩ-ენი*

### "საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია, საქართველოს პასპორტი და ვიზა მიიღოს"

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელთა განცხადება იმის შესახებ, რომ უცხო ქვეყნის დიპლომატებს შესაძლოა, აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალონ, კიდევ ერთხელ მოწმობს მათ თვითიზოლაციას, - აცხადებს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას, რომელშიც ბაგაფშმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი უცხოეთის სახელმწიფოები აფხაზეთის მოქალაქეებს ვიზის გაცემისას პრობლემებს შეუქმნიან, აფხაზეთი უფლებას იტოვებს, ამ ქვეყნების დიპლომატები აფხაზეთის ტერიტორიაზე არ შეუშვას.

"აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის წარმოამდგენელთა განცხადება კონტექსტიდან სრულიად ამოგლეჯილია. არსებობს ცნება "საქართველოს მოქალაქე" და საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, იქნება ის აფხაზი თუ ქართველი, უფლებამოსილია, მიიღოს საქართველოს პასპორტი, შემდეგ მიიღოს ვიზა და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში იმოგზაუროს," - აცხადებს შოთა მალაშხია და დასძენს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში "მათ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ რუსეთის და ასევე ნიკარაგუას ტეროტორიაზე." მისივე თქმით, აღნიშნული ქმედებებით აფხაზები აჩვენებენ, რომ მათთვის არაფერია საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია საქართველოს ტერიოტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ და აჩვენებენ, რომ რუსეთის გარეშე საუბარს არავისთან აპირებენ.

*ჯი-იჩ-ენი*

# ბესელია საკონსტიტუციო ცვლილებებს აკრიტიკებს



გუშინ, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ოფისში, ეკა ბესელიამ ბრიფინგი გამართა, თემა - საკონსტიტუციო ცვლილებები.

როგორც ცნობილია, პარლამენტში უმრავლესობამ წარადგინა ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის 50, 51, 76, 81 და 93-ე მუხლებში ცვლილებების შეტანას. უმრავლესობის განმარტებით, ამ პროექტის მიზანია პრეზიდენტის და პარლამენტის ფუნქციების დაბალანსება. ამას არ ეთანხმება არასაპარლამენტო ოპოზიცია.

ეკა ბესელიას თქმით, ტყუილია, როდესაც ხელისუფლება აცხადებს, თითქოს ამ პროექტით ხდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვა და აღდგება ბალანსი პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებამოსილებებს შორის. ოპოზიციონერი პოლიტიკოსის აზრით, მოხდება პირიქით, პრეზიდენტს მიეცემა მეტი ბერკეტი პარლამენტზე ზემოქმედების მოსახდენად. პრეზიდენტს ასევე შესაძლებლობა ექნება, არა თუ ერთხელ, არამედ ორჯერ დაითხოვოს პარლამენტი და ეს უკვე რეფერენდუმის გზით გააკეთოს. რაც შეეხება მიზეზებს, ასეთად შეიძლება იქცეს მთავრობისთვის სამჯერ უნდობლობის გამოცხადება. ბესელიას აზრით, ამგვარი ფორმულირებით პრეზიდენტს კიდევ უფრო ეზრდება უფლებები და საკანონმდებლო ორგანო კიდევ უფრო დამოკიდებული ხდება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. აღმასრულებელი ორგანო აღარ იქნება ანგარიშვალდებული არავის წინაშე.

ეკა ბესელიას მიაჩნია, რომ ეს პროექტი კიდევ უფრო არღვევს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსს, ეწინააღმდეგება ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებს და ვენეციის კონვენციის დასკვნებს. მისივე თქმით, უნდა მოხდეს პრეზიდენტის დისტანცირება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან; ასევე, ქვეყნის მეთაურს უნდა ჩამოერთვას ძალოვანი მინისტრების დანიშვნის უფლებამოსილება.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი მოითხოვს, გამარტივდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა და ჩაიდოს კონსტიტუციაში პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მექანიზმი.

**"ჩვენ გვინდა მივმართოთ პარლამენტის იმ წევრებს, რომლებიც ამბობენ, რომ ეს არის დემოკრატიული ცვლილებები. ის, ვინც ხმას მისცემს ამ პროექტს, ხელს შეუწყობს იმ პარლამენტის უფლებების შეზღუდვას, რომლის წევრებიც თვითონ არიან,"** - განაცხადა ეკა ბესელიამ.

*24 საათი*

# სადაზღვევო სფეროს პრობლემები



*"ქრისტიან-დემოკრატები" სადაზღვევო პოლიტიკას აკრიტიკებენ.*

გუშინ, "ქრისტიან-დემოკრატებმა" ფრაქციის გაფართოებული სხდომა გამართეს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები, სამედიცინო დაწესებულების, კლინიკების, ჯანდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები.

"ქრისტიან-დემოკრატების" აზრით, უმწეოთა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ხარჯზე, გარკვეულწილად, საშუალო ფენა დაზარალდა, რადგან მათთვის დაზღვევა საკმაოდ გაძვირდა და ამ კუთხით უმწეოები უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის სოფო ლებანიძის განცხადებით, სამინისტრო არამარტო უმწეოთა ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარების რიცხვის ზრდაზე მუშაობს, არამედ არსებული პროგრამის დახვეწაზეც. სამინისტროში უკვე შექმნილია სადაზღვევო ტექნიკური საბჭო, რომელიც პირველ სხდომას უახლოეს დღეებში გამართავს. ეს იქნება სწორედ ის რგოლი, რომელიც კონკრეტულ ფაქტებზე მოახდენს რეაგირებას და მიიღებს გადაწყვეტილებას.

"ალდაგი BCI"-ის წარმომადგენლის ნიკოლოზ გამყრელიძის განცხადებით, დაზღვევის დაკონტრაქტება მართლაც ხდება ამა თუ იმ კლინიკასთან და ეს ხორციელდება ორი ძირითადი პრინციპით - ხარისხი და ფასი, თუმცა, მისი განმარტებით, ფასის შერჩევა ხარისხის ხარჯზე არ ხდება.

რაც შეეხება დაზღვევის ფასის გაძვირებას, ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ 2006–2007 წლებში დაზღვევა ბევრად იაფი ღირდა, ვიდრე რეალურად ჯდებოდა ამ პროდუქტის მიღება და კომპანია მთლიანი დანახარჯის შევსებას სხვა პროდუქტებიდან სუფსიდირებით ახდენდა.

*24 საათი*

# შვედეთი - საქართველოს მეგზური

*საქართველოს პარლამენტი და შვედეთი ევროპასთან საქართველოს ურთიერთობის სამომავლო სტრატეგიას შეიმუშავებენ.*

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ხელმძღვანელს მარია ისრაელსონს შეხვდა.

როგორც დახურული შეხვედრის შემდეგ მარია ისრაელსონმა განაცხადა, ეს იყო ერთგვარი გაცნობითი სახის შეხვედრა, სადაც საუბარი შეეხო საქართველოსა და შვედეთის პარლამენტებს შორის მომავალი ურთიუერთობების გაგრძელებასა და გაღრმავებას.

**"შვედეთი არის ევროპის ნაწილი და ინიციატორი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის. აქედან გამომდინარე, ის საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ევროინტეგრაციის გზაზე,** - განაცხადა დარჩიაშვილმა, - **ამ შეხვედრაზე სწორედ ამაზე იყო მსჯელობა, თუ როგორ შევუხამოთ ჩვენი თავისებურებები და სპეციფიკა, ჩვენი საჭიროებები ევროპისას. რა უნდა გაკეთდეს მომავალი თანამშრომლობის თვალსაზრისით. ამისათვის საქართველოს პარლამენტი როგორც შვედეთის, ასევე სხვა ქვეყნის პარლამენტების გამოცდილებას გაიზიარებს, რათა ვაკონტროლოთ და მონიტორინგი გავუწიოთ აღმასრულებელ ხელისუფლებას და სადაც საჭიროა გავერთიანდეთ."**

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატში გვაცნობეს, რომ მომავალ კვირას ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით საქართველოში შვედეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი ჩამოვა. მასთან ერთად შემუშავებული იქნება ევროპასთან ინტეგრაციის სტრატეგია. დღევანდელ შეხვედრაზე ქართული მხარის მიერ გამოთქმული წინადადებები და მოსაზრებების გაცნობა სწორედ ამ მომავალი შეხვედრის წინაპირობაა.

*24 საათი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ფორს-მაჟორი

პირველი გვერდიდან

ეუთო-ს ფარგლებში 1999 წელს ხელმოწერილი "ვენის დოკუმენტით" მინიჭებული უფლების გამოყენება მოსკოვმა თბილისს ორჯერ - მიმდინარე წლის 19 იანვარსა და 21 იანვარს მოსთხოვა. დოკუმენტზე ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომებზე მოლაპარაკებების შესახებ, ხელი ეუთო-ს წევრ ყველა სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთსა და საქართველოს აქვთ მოწერილი.

დოკუმენტის თანახმად, შეთანხმების მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს ჩაატაროს შეიარაღებული ძალების ინსპექტირება სხვა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

გუშინ საქართველოს საგარეო უწყებამ თავის განცხადებაში რუსეთისთვის ამ უფლების განხორციელებაზე უარი დეტალურად განმარტა. კერძოდ, **"რუსეთმა განახორციელა ფართომასშტაბიანი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილის ოკუპირება, ადამიანის უფლებების მასობრივი და უხეში დარღვევები, მსხვერპლი რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობაში, ასევე მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა."**

გარდა ამისა, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების დადების შემდეგ, რუსეთი უხეშად არღვევს მის მოთხოვნებს და აღებული ვალდებულების შესრულების, ანუ იმის სანაცვლოდ, რომ საკუთარი ძალები მათ მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე დაკავებულ პოზიციებზე გაიყვანოს, საქართველოს ტერიტორიაზე - აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ახალ სამხედრო ბაზებს აშენებს.

საგარეო უწყებამ რუსეთს ასევე შეახსენა "ოკუპირებული ტერიტორიებიდან აგრესიული აქტების სისტემატურად განხორციელება", რასაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ თერთმეტი პოლიციელი შეეწირა.

ოფიციალური თბილისი განმარტავს, რომ რუსეთის ქმედებები პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ეუთო-ს "ვენის 1999 წლის დოკუმენტის" ძირითად პრინციპებთან და დოკუმენტის პირველად მიზანთან - განამტკიცოს ნდობა და უსაფრთხოება.

**"აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია არ შეეცდება, კვლავ განახორციელოს აგრესიული ქმედებები და შემფასებელი ვიზიტისა თუ ინსპექციის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საზიანოდ,"** - ნათქვამია უწყების განცხადებაში.

თბილისმა მოსკოვს ინსპექტირებაზე უარი ვენის დოკუმენტის იმ მუხლების (78 78.1 78.2 120 120.1 120.2) საფუძველზე უთხრა, რომლებშიც აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ინსპექციის განმახორციელებელ ან მიმღებ ქვეყნებს არ შეუძლიათ ინსპექციის ჩატარება ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, მათ ამის მიზეზები უნდა განმარტონ. ამგვარად, ოფიციალურმა თბილისმა ასეთ მიზეზებად რუსული სამხედრო აგრესია და ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია მიიჩნია. ფორს-მაჟორი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციის შემდეგ მოიხსნება.

საქართველოს საგარეო უწყებამ განაცხადა, რომ რუსეთის გარდა, დანარჩენ სახელმწიფოებთან მიმართებაში დაკისრებულ ყველა ვალდებულებას შეასრულებს. გუშინვე უწყების ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს შეხვდა.

**"ვფიქრობ, საქართველოს ძლიერი არგუმენტი აქვს,** - განაცხადა შეხვედრის შემდეგ ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოში პერ ეკლუნდმა, - **აქ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, როცა რუსული ძალები იმყოფებიან საქართველოს მიწაზე, მათ** (საქართველოს ხელისუფლებას) **აქვთ მიზეზი და ვფიქრობ, სწორი არგუმენტი გამოიყენეს."**

აშშ-ს ელჩის ჯონ ტეფტის განცხადებით, დიპლომატებს განუცხადეს, რომ ამჟამად საქართველოში გერმანელი ინსპექტორები იმყოფებიან და შესაძლოა, დამატებით სხვებიც ჩამოვიდნენ. **"გარკვევით გვითხრეს, რომ ფორს-მაჟორის გამოცხადება მხოლოდ რუსეთს შეეხო,"** - დასძინა მან.

საქართველოს საგარეო უწყების გადაწყვეტილებას მოსკოვის მხრიდან პროგნოზირებადი რეაქცია მოჰყვა. **"ქართული მხარე არაერთხელ აცხადებდა, რომ მისი შეიარაღებული ძალები, მედვედევი-სარკოზის შეთანხმების მიხედვით, დისლოკაციის ადგილებზე იმყოფებიან და ამის შემოწმებასაც გვთავაზობდა. თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, უკან დაიხია,"** - განუცხადა რუსულ სააგენტოებს წყარომ რუსეთის საგარეო უწყებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისთვის არავის მიუნიჭებია მანდატი სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულების მონიტორინგზე და, მით უმეტეს, ამ მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსპექტირებაზე. ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისია შეიქმნა, რომელსაც სწორედ რუსეთი არ აძლევს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის საშუალებას. იმავდროულად, ამ ტერიტორიებზე შეიარაღებული ძალები სწორედ რუსეთმა განალაგა და სამხედრო ბაზებსაც აშენებს, რაც ექვსპუნქტიანი შეთანხმების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

სწორედ ამგვარი თავხედობა ბოლო პერიოდში რუსეთის პოლიტიკისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი გახდა. მოსკოვი თავისი მიზნების მიღწევას საერთაშორისო ორგანიზაციების მანდატითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით მანიპულირების გზით ცდილობს, ისე, რომ არაფრად აგდებს მის მიმართ იმავე ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მოთხოვნებს. იმავდროულად ცდილობს, ამ ორგანიზაციების წევრობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობით მიღებული შესაძლებლობები სრულად გამოიყენოს - როგორც ეს საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობის გაგრძელებაზე ვეტოს დადების შემთხვევაში მოხდა.

## სამეურვეო საბჭო სკოლებში

სახალხო დამცველის ოფისში, განათლების ეროვნულმა კავშირმა პრესკონფერენცია გამართა. თემას სკოლებში სამეურვეო საბჭოების საკითხი წარმოადგენდა. კავშირის მდივანმა დავით არაბიძემ გააკრიტიკა განათლების რეფორმა ზოგადად და სკოლების თვითმმართველობის კანონი.

მისი თქმით, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო სექტორი სრულიად გამოეთიშა სამეურვეო საბჭოს არჩევნებს; არ ჰქონდათ უფლება, დასწრებოდნენ საარჩევნო პროცესს, საარჩევნო ყუთის გახსნას და შემაჯამებელი ოქმის წარდგენას.

დავით არაბიძემ ისაუბრა ახლანდელ და ყოფილ მინისტრებზე და თქვა, რომ არც ერთ მათგანს არ გაუთვალისწინებია სამოქალაქო სექტორის შენიშვნები. **"ჩვენ გვქონდა გია ნოდიას იმედი, რადგან ის წარმოადგენდა სამოქალაქო სექტორს, თუმცა არც მან გაგვიმართლა,"** - აღნიშნა მან.

ნახევარ საათში პრესკონფერენციას შეუერთდა განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ამაშუკელი. მისი თქმით, სამეურვეო საბჭო წარმოადგენს კონფლიქტის არეალს დირექტორს, პედაგოგებს, მოსწავლეებს და მშობლებს შორის. **"თუ რამეს მინდა შევადარო საჯარო სკოლაში მოქმედი სამეურვეო საბჭო, ეს არის საბჭოთა კოლმეურნეობის გამგეობა. ფარული ნომენკლატურული შერჩევა და ფარული ადმინისტრაციული დანიშვნა, ლომაიადან მოყოლებული, ყველა მინისტრმა გადმოიტანა საჯარო სკოლებში,"** - დასძინა მან.

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ აუდიტორიას შსს მინისტრის მიმართვა გააცნო, რომელიც მასწავლებლებს ინტენსიურ თანამშრომლობას სთავაზობს. აღნიშნული თანამშრომლობა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულების და ნარკომანიის აღმოფხვრას გულისხმობს.

*24 საათი*

## "არასასურველი პროფესორი" უნივერსიტეტს უჩივის

22 იანვარს, ომბუდსმენის ოფისში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თამარ კიკნაძემ პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებთან შეხვედრის მიზეზი 2008 წლის ივლისში სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორთა შესარჩევი კონკურსის შედეგები გახლდათ. საუბარი ასევე შეეხო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმებსა და მათ შედეგებს.

2008 წლის ივლისში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რექტორის ბრძანებით, გამოცხადდა კონკურსი სრული და ასოცირებული აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. როგორც თამარ კიკნაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კონკურსის პირველ ტურში მესამე ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც დაინიშნა დამატებითი გასაუბრება. **"კონკურსებში გასაუბრება გამოიყენება იმისთვის, რომ მოიშორონ არასასურველი პროფესორი"**, - განაცხადა თამარ კიკნაძემ, რომელსაც გასაუბრების შემდეგ აკადემიური თანამდებობა არ მიენიჭა. ამასთან, "არასასურველი პროფესორი" მიიჩნევს, რომ ყველა იმ მოთხოვნას აკმაყოფილებს, რაც აკადემიური თანამდებობის მისაღებად არის საჭირო. იგი არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი, იცის რამდენიმე უცხო ენა, აქვს მოპოვებული გრანტები და არის ბევრი სამეცნიერო შრომის ავტორი. **"უბრალოდ, ვიღაცამ ჩააწყო,"** – ასკვნის თამარ კიკნაძე.

პრესკონფერენციის მსვლელობისას საუბარი შეეხო იმ რეფორმებსაც, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება. თამარ კიკნაძის აზრით, რეფორმის შედეგად ფაკულტეტები შემცირდა რამდენიმე ფაკულტეტის გაერთიანების ხარჯზე. დაითხოვეს საუკეთესო პროფესორები იმ ნიშნით, რომ ისინი "წითელი პროფესორები" არიან. **"ფაკულტეტები პიროვნებებზე მორგებული აღმოჩნდა,"** – ასეთია თამარ კიკნაძის შეფასება.

მისი ინფორმაციით, დღესდღეობით თსუ სარეიტინგო სიაში მერვე ადგილზეა. პირველ სამეულს კი ისეთი კერძო უნივერსიტეტები იკავებენ, სადაც ლექციებს ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან დათხოვნილი პროფესორები კითხულობენ. თამარ კიკნაძემ მაგალითად ადგილს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მოიყვანა, რომელიც მესამე ადგილს იკავებს და თავად კიკნაძე იქ ბიზნესის მართვისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანია.

21 იანვარს, კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით, გაიმართა სასამართლო სხდომა, რომელმაც თამარ კიკნაძე არ მიიჩნია დაზარალებულად და, შესაბამისად, არც დააკმაყოფილა მისი სარჩელი.

*24 საათი*

# „ჩვენ დავძარით რამდენიმე საკითხი"

## ანტიკრიზისული საბჭოს შედეგები და გეგმები

*საქართველოს პარლამენტში შექმნილი ანტიკრიზისული საბჭო, სხვადასხვა სამინისტროებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოში აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა დახმარებისთვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებების განაწილებისა და ხარჯვის მონიტორინგს ახორციელებს. საბჭო აგრძელებს მუშაობას ომის ვეტერანთათვის დახმარების აღდგენისა და როგორც აფხაზეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახებისთვის კომპენსაციის უზრუნველყოფის საკითხებზე. ანტიკრიზისული საბჭოს საქმიანობის შედეგების და მისი შემდგომი გეგმების შესახებ "24 საათი" საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძეს ესაუბრა.*

დათო გამისონია

**- ანტიკრიზისული საბჭო, დაახლოებით, 4 თვეა, რაც შეიქმნა. რა შედეგებს მიაღწიეთ ამ დროის განმავლობაში?**

- ჩვენ დავძარით რამდენიმე საკითხი. მათ შორის, მოვითხოვეთ "პირველ არხზე" დებატების ერთი გადაცემის შექმნა და შედეგად მივიღეთ ორი. ასევე დავაყენეთ საკითხი ამნისტიის შესახებ და გაათავისუფლეს 2000 მსჯავრდებული, დაახლოებით 5000 პატიმარს სასჯელი გაუნახევრდა, ხოლო 5500 ადამიანს პირობითი სასჯელი მოეხსნა.

ანტიკრიზისული საბჭოს ძალისხმევით, პოლიტიკური პარტიებისთვის არასამართლიანად შეწყვეტილი დაფინანსება აღდგა. უფრო მეტიც - შეიქმნება ფონდი, საიდანაც პარტიები დამატებით მიზნობრივ დაფინანსებას მიიღებენ (ტრენინგებისთვის, სოციოლოგიური კვლებისთვის და ა.შ.).

გარდა ამისა, ჩვენ ვმუშაობთ გვარდიისა და რეზერვისტთა სისტემის მოდელის შესაცვლელად. ვიყავით ამერიკაში, სადაც წარმოგვიდგინეს ამ სფეროში არსებული შვეიცარიული, ნორვეგიული და შეერთებული შტატების მოდელები. ერთი რამ ცხადია - ყველა მოდელს სჭირდება მოდიფიცირება და ჩვენს სინამდვილესთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთანავე, ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელ შმაგი თელიას ზემოთ აღნიშნულ საკითხზე აქვს ძალიან კარგი ხედვა, რომელიც ამერიკელ ექსპერტებსაც მოეწონათ. ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

**- პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით, დაგეგმილია ხელისუფლებისა და პოლიტიკური ოპოზიციის თანამშრომლობა ახალი საარჩევნო კოდექსის მისაღებად. იქნება თუ არა ანტიკრიზისული საბჭო ის ადგილი, სადაც მხარეები ერთობლივ მუშაობას მოახერხებენ?**

- დიახ, ჩვენ საარჩევნო კოდექსზე მუშაობის დაწყებას ვაპირებთ. ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნება. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა უნდა მიიღოს ხელისუფლებამ, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციამ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა. კოდექსი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი ცვლილებები ცესკო-ს დაკომპლექტების ახალ წესსაც შეიცავს.

**- რა გეგმები აქვს სამომავლოდ ანტიკრიზისულ საბჭოს?**

- ჩვენ ვმუშაობთ სპორტის აკადემიის საკითხზე, რაც თითქმის მოგვარებულია. მართალია, შენობის შესახებ არის რაღაც ცვლილებები, თუმცა შეიქმნება დიდი სპორტული ბაზა, მაღალი დონის ინფრასტრუქტურით. მთავარია, რომ სპორტის აკადემიის სტატუსი აღდგება. ამ გადაწყვეტილებას არავინ ეწინააღმდეგება. რაც შეეხება "მწერალთა კავშირისა" და "კომპოზიტორთა კავშირის" შენობებს, ამ საკითხებზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა საქმე არცთუ მარტივადაა. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ესეც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

აფხაზეთის ომის ვეტერანებს შეწყვეტილი ჰქონდათ შეღავათები როგორც კომუნალურ გადასახადებზე, ასევე საზოგადოებრივი ტარნსპორტით სარგებლობაზე. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მოვახერხოთ მათი აღდგენა. საქართველომ აგვისტოს ომის შედეგად დამატებით მიიღო მარჩენალდაკარგულები და საბრძოლო მოქმედებების დროს დაინვალიდებულები. მარჩენალდალკარგულებს გამოეყოთ დახმარება 10 ათასი ლარის ოდენობით, დანარჩენების დაფინანსების საკითხზე ანტიკრიზისულ საბჭოში ამჟამად ვმუშაობთ.

**- ანტიკრიზისული საბჭო ერთდროულად მუშაობს სპორტის აკადემიის აღდგენის, "მწერალთა კავშირის" შენობის, რეზერვისტთა სისტემის მოდელის შემუშავების თუ "ადგილობრივი თვითმართველობის კანონის" საკითხებზე. როგორი სპეციფიკა აქვს საბჭოს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სფეროებში მუშაობისას?**

- კონკრეტულ სფეროში სამუშაოდ მომავალში სპეციალური ჯგუფები უნდა გამოიყოს. დღეისთვის ანტიკრიზისულ საბჭოს ჰყავს იურისტთა ჯგუფი, რომელსაც დიმიტრი ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. მათ მოამზადეს სასამართლო რეფორმისა და "სისხლის სამართლის კოდექსში" შესატანი ცვლილებების პაკეტი. ცვლილებათა 80 პროცენტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან უკვე შეთანხმებულია.

# რუსული მადით შეშინებული სეპარატისტები

პირველი გვერდიდან

**"ენგურჰესი აფხაზეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და სოხუმის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, იგი არ დათმოს. ჩვენ გვაქვს სურვილი, ვითანამშრომლოთ ქართულ მხარესთან და ველოდებით, რომ თბილისი საკითხის მნიშვნელობას გაიაზრებს და საპასუხო ნაბიჯებს გადმოდგამს,"** - მიმართავს სერგეი შამბა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

თუმცა, ოფიციალური თბილისი სეპარატისტების მხრიდან წამოსულ ამ გზავნილს საკმაოდ ცივად და თავშეკავებით ხვდება. ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი "24 საათთან" საუბრისას აცხადებს, რომ ქართული მხარე ყოველთვის იყო და არის მზად კომპრომისებზე წასასვლელად, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქვეყნის ძირეული ინტერესები.

**"არსებობს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და საქართველოს ხელისუფლება მის მიხედვით იმოქმედებს,"** - აღნიშნავს პარლამენტარი. მისივე თქმით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში აუცილებლად დაიწყება შემობრუნება, ოღონდ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კრემლის პოლიტიკა თვისობრივად შეიცვლება და საერთაშორისო დამკვირვებლებს ამ ურთიერთობების დარეგულირების პროცესში ბოლომდე ჩართვის საშუალება მიეცემათ.

**"ამის ნიშნები კი ჯერ არ შეინიშნება. მართალია, პატარ-პატარა სასიკეთო სიმპტომები გამოიკვეთა, მაგრამ ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები,"** - სერგეი შამბას გუშინდელ განცხადებას დავით დარჩიაშვილი დიდი ოპტიმიზმით არ შეხვედრია.


ზაალ ბულაშვილის ფოტო
*სერგეი შამბას ვარდისფერი მოლოდინები უკვე შავ ფერებში გადადის.*

ანალოგიურია პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიხეილ მაჭავარიანის პოზიციაც. მისი თქმით, აფხაზებთან ნებისმიერ თემაზე პირდაპირი მოლაპარაკებები მხოლოდ მას შემდეგ დაიწყება, როდესაც ისინი რუსული მონობისგან გათავისუფლდებიან.

**"შამბას ეს განცხადება მანიშნებელია იმისა, რომ აფხაზური მხარე ხვდება, როგორ იქცა რუსების მძევლად, რაზეც ჩვენ არაერთხელ ვაფრთხილებდით. რუსეთს აფხაზეთში ზღვა, პორტები, მიწა სჭირდება და არა ეთნიკური აფხაზები. ისინი ჩვენ გვჭირდებიან, რადგან აფხაზები ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია,"** – აღნიშნავს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი და გადაჭრით აცხადებს, რომ **"ქართული მხარე აგვისტოს მოვლენების შემდეგ აფხაზ სეპარატისტებს მთლიანად რუსეთის მარიონეტულ რეჟიმად განიხილავს."**

ამასთან, მაჭავარიანისთვის შამბას გუშინდელი განცხადება იმის ნიშანია, რომ აფხაზეთის აღიარების გამო სეპარატისტული რეჟიმის **"ვარდისფერი მოლოდინები უკვე შავ ფერებში გადადის."**

სოხუმის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადებით არც საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი აღფრთოვანებულა, რომლისთვისაც გაუგებარია, თუ რაზე უნდა მოელაპარაკოს შამბას.

**"ეს განცხადება ენერგეტიკული უწყების წარმომადგენლისგან რომ წამოსულიყო, ჩემთვის კიდევ გასაგები იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ქართველი და აფხაზი ენერგეტიკოსები რუსეთთან ომის მერეც მშვენივრად ახერხებდნენ თანამშრომლობას. მაგრამ მე არ მესმის, რა კავშირი აქვს შამბას ენგურჰესთან,"** - გაოცებას გამოთქვამს "24 საათისთვის" გაკეთებულ კომენტარში იაკობაშვილი.

ენგურჰესის საკითხზე პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყების შესახებ სერგეი შამბას წინადადებას უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი პავლე კუბლაშვილი "არასერიოზულს" უწოდებს და აცხადებს, რომ ქართული მხარე მხოლოდ იმ მხარესთან ითანამშრომლებს, რომელიც რეალურად აკონტროლებს იმ ტერიტორიას, სადაც ენგურჰესია განთავსებული.

სახელისუფლებო გუნდისგან განსხვავებით, ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ სერგეი შამბას წინადადების განხილვა მიზანშეწონილია. პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე ხელისუფლებას მოუწოდებს, გაითვალისწინოს აფხაზური მხარის პოზიცია და გამოიყენოს ის მათთან პირდაპირი დიალოგის წარმოებისთვის.

**"ფაქტია, რომ ენგურჰესის რუსული მხარის ხელში გადასვლა არც აფხაზური მხარის ინტერესებშია. ამიტომ, აფხაზებთან უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ამ საკითხზე. საუბარი შეიძლება იყოს სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე ან, ახალი რეალობების გათვალისწინებით, შეთანხმების მიღწევაზე,"** - აცხადებს ვეფხვაძე, რომლის აზრითაც, საქართველოს ხელისუფლება წინდაუხედავად მოქმედებს და ის რუსების ხელში აფხაზებზე შანტაჟის იარაღად იქცა.

სოხუმიდან წამოსულ სიგნალს, პოლიტიკოსებთან ერთად, ექსპერტებიც ეხმაურებიან.

გია ხუხაშვილი მთლიანად იზიარებს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის ინიციატივას.

**"წლების განმავლობაში ქართველები და აფხაზები ენგურჰესს შეთანხმებულად ვმართავდით და დღესაც ამ საკითხის თუნდაც მცირედი თანამშრომლობის ფორმით ორმხრივ რეჟიმში გადაწყვეტა ბევრად უფრო სახელმწიფოებრივი იქნება,"** - მიიჩნევს ხუხაშვილი.

ამასთან, იგი ეთანხმება შამბას შეფასებას, რომ "თუ რუსულ "ინტერ რაოსთან" ერთობლივი მართვის შესახებ შეთანხმებას მოეწერება ხელი, ამით ქართველები იმ ერთადერთ ძაფს გაწყვეტენ, რომელიც აფხაზებთან აკავშირებთ."

## მოკლედ

### რეკომენდაცია სამოქალაქო მოძრაობისგან

გუშინ სამოქალაქო მოძრაობა "სოლიდარობის" ლიდერმა კახა კოხრეიძემ პრესკონფერენცია გამართა. იგი, ეკონომიკური კრიზისის დაძლევისთვის, რეკომენდაციებს სთავაზობს მთავრობას. "სოლიდარობა" მიზანშეწონილად მიიჩნევს საქართველოში ე.წ. საგადასახადო კრედიტების შემოღებას. კოხრეიძის აზრით, მთავრობამ კერძო კომპანიებს უნდა შესთავაზოს საგადასახადო კრედიტი - თითოეულ აღდგენილ სამუშაო ადგილზე 3000 ლარის ოდენობით. მისივე განმარტებით, საგადასახადო კრედიტი შეიძლება არ იყოს უშუალოდ ფულის გადაცემა საწარმოსთვის, უბრალოდ, თითოეულ აღდგენილ სამუშაო ადგილზე კომპანია აღარ გადაიხდის გადასახადს ბიუჯეტში. იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაცია, სამართლებრივი არგუმენტის გარეშე, კვლავ შეამცირებს დასაქმებულ პერსონალს, საგადასახადო კრედიტიც ავტომატურად გაუქმდება.

"სოლიდარობის" ლიდერი აცხადებს, რომ საგადასახადო კრედიტი არ გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან შემცირებას, არსებულ მდგომარეობასთან შეფარდებით.

კოხრეიძემ პრესკონფერენციაზე ასევე განაცხადა, რომ არსებული კრიზისი გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკური სისტემის არასწორი წარმართვის შედეგად და არა გლობალური კრიზისით. მისივე ცნობით, დღეისათვის უკვე შემცირებულია 30000 ადამიანი, ხელისუფლებიდან კი მხოლოდ უაზრო არგუმენტები და უტოპიური გადაწყვეტილებები ისმის.

სამოქალაქო მოძრაობა "სოლიდარობა" საქართველოს უმძიმესი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავლის მოძიებას ხელისუფლებას აკისრებს და რეკომენდაციების გათვალისწინებას სთავაზობს.

*24 საათი*

### კლიშეებისგან გასათავისუფლებლად

შეხვედრაზე, რომელიც გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში შედგა, ისტორიის სახელმძღვანელოს მოეწყო პრეზენტაცია. ამ სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობა მალე დაიწყება. იგი იქნება ქართული ანალოგი გერმანულ-ფრანგული სახელმძღვანელოსი. უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ ისაუბრა გერმანიისა და საფრანგეთის უდიდეს წვლილზე ახალი ევროპის შექმნაში. მისი აზრით, ქართველებიც, ევროპელების მსგავსად, **"კლიშეებისგან უნდა გავთავისუფლდეთ."** პროექტის - "გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობის მნიშვნელობა ევროპულ სივრცეში" - მიზანია საქართველოს გაუზიაროს გამოცდილება, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებისთვის, მეორე მხრივ - საქართველოს ევროპულ ქვეყნებთან კულტურული დაახლოებისთვის. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი ვიოლი და საფრანგეთის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ბასტენერი. მათ ისუბრეს მთელ რიგ კულტურულ ღონისძიებებზე, რომლებიც პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საფრანგეთის ელჩი და გერმანიის ელჩის მოადგილე, რომლებმაც შეხვედრის ძირითადი ნაწილის შემდეგ, უპასუხეს აუდიტორიის შეკითხვებს.

*24 საათი*

Regional Capacity Building Initiative
Supporting partner country participation in ENPI CBC Programmes 2007 - 2013

website: www.rcbi.info
email: info@rcbi.info

განცხადება

ა.წ. 29 იანვარს ქ. თბილისში იგეგმება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება. პროგრამა მიზნად ისახავს მონაწილეთა ინფორმირებას ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) მიზნების, პრიორიტეტების და აგრეთვე პროექტების წარდგენის წესისა და პროცედურების შესახებ.

შეხვედრაზე დასწრება შეუძლიათ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების, მუნიციპალიტეტების და სამხარეო ადმინისტრაციების თანამშრომლებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროექტების მომავალ კონკურსებში.

საინფორმაციო შეხვედრაზე დასწრების მსურველმა ორგანიზაციებმა 27 იანვრამდე უნდა მიმართონ შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტს. ამისთვის მათ უნდა გაგზავნონ მოკლე დასაბუთების წერილი და ორგანიზაციის გამოცდილების აღწერა (არა უმეტეს 1/2 გვერდისა) შემდეგ მისამართებზე, ელ-ფოსტა: l; CC: d, ან ფაქსი: 250711; 399019; 998914. მიმართვის წერილში აუცილებელია მიეთითოს გამომგზავნი ორგანიზაციის საკონტაქტო ტელეფონი და ელ-ფოსტის მისამართი.

შეხვედრაზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია 70 მონაწილემდე. იმ შემთხვევაში, თუ დარეგისტრირებული ორგანიზაციების რიცხვი მეტი აღმოჩნდა, მოხდება მათი გადარჩევა. უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ რეგიონულ პროექტებში მონაწილეობისა და შავი ზღვის პრობლემატიკაზე მუშაობის გამოცდილება.

ორგანიზაციებს, რომლებიც შეხვედრაზე ვერ მოხვდებიან, შეხვედრის შემდეგ გადაეგზავნებათ შეხვედრის მასალების სრული პაკეტი. გარდა ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში თებერვალში ჩატარდება კიდევ ერთი მსგავსი შეხვედრა (დეტალური ინფორმაცია გავრცელდება მოგვიანებით).

დამატებითი ინფორმაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილეთ ინტერნეტ-გვერდებზე: www.blacksea-cbc.net; http://www.eu-integration.gov.ge; http://www.rcbi.info.

MWH
BUILDING A BETTER WORLD
and implemented by a consortium led by MWH

# ევროსასამართლოს ორი გადაწყვეტილება

თამარ აბაშმაძე

*ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ ორი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. საქმეებზე - "აბდულ ჰამიდ ალიევი საქართველოს წინააღმდეგ" და "ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ". ორივე განმცხადებლის ინტერესებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტები იცავდნენ.*



*სტრასბურგის სასამართლოში "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტებმა ორი საქმე მოიგეს.*

აბდულ ჰამიდ ალიევმა ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2004 წელს მიმართა. ის ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ასაჩივრებდა, რომლის მიხედვითაც, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. აბდულ ჰამიდ ალიევი ქართველმა სამართალდამცველებმა 2002 წლის 3 მაისს, რუსეთის ხელისუფლების მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე დააკავეს. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მისი რუსეთში ექსტრადირების გადაწყვეტილება გამოიტანა, მაგრამ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პროკურატურას არ მოეპოვებოდა ექტრადიციისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი, რუსეთის ორგანოების მიერ გაცემული ბრძანების სამთვიანი პატიმრობის ვადა ამოწურული იყო და ალიევი უკანონო პატიმრობიდან უნდა გათავისუფლებულიყო. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, ალიევი პატიმრობიდან არ გათავისუფლებულა. ციხის ადმინისტრაციამ მას ახალი ბრალდება წაუყენა - ციხის თანამშრომლებისთვის წინასწარ განზრახული და დაგეგმილი წინააღმდეგობის გაწევა, ბრძანების დაუმორჩილებლობა, სახელმწიფო მოხელეთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობა და 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ევროსასამართლომ ალიევის საქმეზე დაადგინა, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებმა განმცხადებლის მიმართ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი დაარღვიეს, რომლის მიხედვით, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან უკანონო დასჯას.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ალიევის მიმართ ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ორი მიმართულებით მოხდა და იგი დაექვემდებარა ტანჯვას, რომელიც პატიმრობისთვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს სცილდება.

ევროსასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს აბდულ ჰამიდ ალიევის სასარგებლოდ 10 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

რაც შეეხება საქმეს - „ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ," ევროსასამართლომ დაადგინა, რომ გიორგი ნიკოლაიშვილის მიმართ საქართველოს სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) და მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლები.

ევროსასამართლომ გამოიკვლია საქმეში არსებული გარემოებები და დაადგინა, რომ გიორგი ნიკოლაიშვილი 6 თვისა და 25 დღის განმავლობაში უკანონო პატიმარი იყო.

გარდა ამისა, ევროსასამართლომ მე-8 მუხლი დარღვეულად მიიჩნია იმის გამო, რომ განმცხადებლის, როგორც ძებნილის ფოტოები საჯაროდ იყო გამოკრული პოლიციის განყოფილებაში მაშინ, როცა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის სამართალწარმოება არ იყო დაწყებული. ევროსასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ეს იყო ადამიანის უფლების დარღვევის უპრეცედენტო შემთხვევა სახელმწიფოს მხრიდან.

დადგენილი დარღვევების საფუძველზე სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს, განმცხადებლის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 8 ათასი ევრო დააკისრა.

# სასამართლომ სონი-ცენტრის სარჩელი არ დააკმაყოფილა

*თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გუშინ გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლის მიხედვითაც, არ დააკმაყოფილდა შპს "სონი-ცენტრი თბილისის", შპს "კაფე რუსთაველის", შპს "ლაზერი-2 თბილისის" დირექტორის იოსებ ქოქოლაძის სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მიმართ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.*

დავა შეეხებოდა მოსარჩელეთა გამოსახლების საკითხს სადავო ფართიდან, რომელიც მდებარეობს რუსთაველის გამზირზე N30-ში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს მიერ მოსარჩელეთა მიმართ არ დარღვეულა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N747 ბრძანებით დამტკიცებული საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი". სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მოპასუხისთვის წარედგინა მართლზომიერი მფლობელობის ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე აღნაგობის, უზუფრუქტის, სერვიტუტის, იპოთეკის იჯარის, ქირავნობის ან თხოვების უფლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით, მართალია, მოსარჩელეებმა წარადგინეს საიჯარო ხელშეკრულებები, მაგრამ ისინი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამასთანავე დადგენილია, რომ მოცემული საიჯარო ხელშეკრულებები იმ დროისათვის უკვე შეწყვეტილი იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

აღსანიშნავია ასევე, რომ იგივე ზიანის ანაზღაურებას მოსარჩელეები მოითხოვენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ აღძრული სარჩელით, რომელსაც იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ეკონომიკური სამინისტროს მიერ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის დროს განხორციელებული კანონდარღვევა, მაშინ შესაბამისი ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შეასრულა ქონების მესაკუთრის (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) მოთხოვნა ფართის გამოთავისუფლების შესახებ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ცხელი ხაზით 35 000-მდე მოქალაქემ ისარგებლა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის ცხელი ხაზის მომსახურებით, 2008 წლის განმავლობაში, 35 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა. მათი კითხვები, ძირითადად, დოკუმენტების მიღების პროცედურას ეხებოდა.

სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ტერიტორიულ სამსახურებში დაშვებულ დარღვევასთან დაკავშირებით, შარშან ცხელ ხაზზე სულ 2 შეტყობინება მიიღეს. სამსახურის რეაგირების შედეგად, საქართველოს მოქალაქის პასპორტი და ცნობა საინფორმაციო-სამისამართო ბიუროდან დროულად გაიცა. აღსანიშნავია, რომ დარღვევის გამო ერთ თანამშრომელს გამოეცხადა საყვედური, ხოლო ორს - შენიშვნა. შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის უფროს ლევან დარბაიძის ინფორმაციით, ცხელი ხაზის ამოქმედებიდან, 2006 წლიდან, ტერიტორიულ სამსახურებში დაშვებულ დარღვევასთან დაკავშირებით, მოქალაქეთა საჩივრების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, რაც ნიშნავს, რომ ცხელი ხაზის მუდმივმა და სრულყოფილმა მუშაობამ მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებას ხელი შეუწყო. 2008 წელს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში სამართალდამცველიი ორგანოების მიერ ძებნილი 17 მოქალაქე დააკავეს. გარდა ამისა, დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე 22 ექვმიტანილის საქმე შემდგომი რეაგირებისთვის საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნა.

## მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირება დაიწყო

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურმა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირება დაიწყო. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი წარმოადგენს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზას, რომელშიც კერძო ადვოკატები ნებაყოფლობით დარეგისტრირდებიან და საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე გადახდისუუნარო მოქალაქეებს უფასოდ მოემსახურებიან.

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ინფორმაციით, რეესტრის ფორმირება ორ ეტაპად წარიმართება. პირველ ეტაპზე კანდიდატები კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენენ, ხოლო მეორე ეტაპზე მათთან გასაუბრება გაიმართება. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირება რეგიონალური პრინციპით მოხდება. საბუთების ჩაბარება და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის-ზესტაფონის, იმერეთის-ქუთაისის, სამეგრელოს-ზუგდიდის, სამეგრელოს-ფოთისა და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროებში, ოზურგეთისა და ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრებში, ასევე იუსტიციის სამინისტროს მისაღებში.

რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატს იურიდიული დახმარების ბიურო და საკონსულტაციო ცენტრი მოიწვევს იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუროს ან საკონსულტაციო ცენტრს დახმარებისთვის მიმართავენ დაპირისპირებული მხარეები. ასეთ დროს ბიუროს თანამშრომელი ადვოკატი ერთ მხარეს დაიცავს, ხოლო მეორე მხარეს დამცველად მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები უზრუნველყოფენ.

იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისთვის ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას გადაუხდის. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება ანაზღაურდება.

**ჯი-იჩ-ენი**

## გადადებული სასამართლო პროცესი

თბილისის საქალაქო სასამართლოში „ლეიბორისტული პარტიის"'გლდანის რაიონის კოორდინატორ არჩილ ბენიძის სასამართლო პროცესი 29 იანვრისთვის გადაიდო.

არჩილ ბენიძის ადვოკატის განცხადებით, გუშინდელ სხდომაზე დაცვის მხარემ შუამდგომლობა წარმოადგინა „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერ შალვა ნათელაშვილის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ, თუმცა მოსამართლემ დაცვის მხარის ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ადვოკატის განცხადებით, 29 იანვრისთვის დაგეგმილ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე 9 მოწმის წარდგენას აპირებს, რომელთა შორის შალვა ნათელაშვილის ნათესავები და მეზობლები არიან.

არჩილ ბენიძე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავა.

**ჯი-იჩ-ენი**

## მოსკოვში მეცნიერი და ბიზნესმენი დენის ჩუევი მოკლეს

მოსკოვში მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში რუსეთის ხელისუფლების პრემიის ლაურეატი, მეცნიერი და ბიზსენმენი დენის ჩუევი მოკლეს. სამართალდამცველი ორგანოების ინფორმაციით, ჩუევს საკუთარი ავტომანქანიდან გადმოსვლისას ესროლეს. მილიციის ინფორმაციით, სამი გასროლის შერმდეგ, მეცნიერი მიწაზე დაეცა, რის შემდეგ მას ქილერი მიუახლოვდა და თავის არეში ორი საკონტროლო გასროლა განახორციელა. დანაშაული იმ სახლთან ახლოს მოხდა, რომელშიც 34 წლის ჩუევი ცხოვრობდა. ბოლო პერიოდში ჩუევი ბიზნესით იყო დაკავებული.

### BBC-ის ირანული რედაქციის თანამშრომლები დააკავეს

ირანის უშიშროების სამინისტრომ BBC-ის ირანული რედაქციის რამდენიმე თანამშრომელი დააკავა. ამის შესახებ ირანის პარლამენტის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჰუსეინ სუბჰანიამ განაცხადა. მისი თქმით, დაკავებულები ჟურნალისტურ საფარველს ქვეშ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ხავერდოვანი რევოლუციის მოწყობას გეგმავდნენ და მუშახელის შეგროვება ჯერ კიდევ რამადანის თვის დადგომამდე დაიწყეს.

„რამადანის თვეში, უშიშროების სამინისტრომ ამ ჯგუფის წინააღმდეგ ოპერაცია მოამზადა. ისინი ირანის რევოლუციის საწინააღმდეგო აზრის გავრცელებით მოსახლეობაში განხეთქილების დათესვას ცდილობდნენ,“ - განაცხადა სუბჰანიამ.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, „ირანის უშიშროების მინისტრმა ამის შესახებ განცხადება ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე რატომ არ გააკეთა,“ სუბჰანიამ აღნიშნა, რადგან საკითხი პრესას შეეხებოდა, უშიშროების მინისტრს სურდა ეს საკითხი კულტურისა და ქვეყნის ისლამური ორიენტაციის მინისტრთან შეეთანხმებინა.

**ჯი-იჩ-ენი**

### ლონდონის მეტროში მომხდარი აფეთქების მოწყობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

პაკისტანის ხელისუფლებამ ალ-ყაიდას ტერორისტული დაჯგუფების წევრი დააკავა, რომელიც 2005 წელს ლონდონის მეტროში მომხდარი აფეთქების მოწყობაშია ეჭვმიტანილი. ტერორიზმში ეჭვმიტანილი ზაბიხ ალ-ტაიფი პაკისტანში, ქალაქ ფეშავასთან ახლოს მდებარე სოფელში სამართალდამცველი ორგანოების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს. ზაბიხ ალ-ტაიფის გარდა, პოლიციამ კიდევ 6 ადამიანი დააკავა, რომელთა შორის ავღანელები და პაკისტანელები არიან.

შეგახსენებთ, 2005 წლის 7 ივლისს, ლონდონის მეტროში მომხდარი ბომბის აფეთქების შედეგად 52 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 900 ადამიანი დაიჭრა.

**ჯი-იჩ-ენი**

### რუსი სამართალდამცველის განცხადება

კრასნოდარის მხარეში ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბოგდანოვმა ვაჰაბიტურ იატაკქვეშა დაჯგუფების საქართველოსთან კავშირის შესახებ გააკეთა განცხადება. მისი განმარტებით, „ბოევიკები საქართველოს აფარებენ თავს და იქ ძალებს იკრებენ.“ ბოგდანოვმა 2008 წლის ოქტომბერში კრასნოდარის მხარეში მილიციის თანამშრომლების დაცხრილვასთან დაკავშირებული გამოძიების საქმე გაიხსენა.

ბოგდანოვის თქმით, დანაშაულის მთავარი მოქმედი პირი ასკერ სეტოვი პირდაპირაა დაკავშირებული ვაჰაბიტურ იატაკქვეშა დაჯგუფებასთან, რომლის წევრებიც ადიგენის, დაღესტნისა და მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიას აფარებენ თავს. ბოგდანოვის განმარტებით, სეტოვი კრასნოდარში იატაკქვეშა დაჯგუფების ერთ-ერთი განყოფილების გასასხსნელად ჩავიდა. ცეტოვის დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებისას კრასნოდარის მილიციის თანამშრომლებმა მისი კავშირები დაადგინეს, რამაც სამართალდამცველები დაღესტანში მიიყვანა.

**ჯი-იჩ-ენი**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური**

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**

# შვილი მამის დაპატიმრებას საკუთარ საქმიანობას უკავშირებს

თამარ სვანიძე

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, 22 იანვარს, ყოფილმა პარლამენტარმა ზაქარია ქუცნაშვილმა მამის - პროფესორ ომარ ქუცნაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით პრესკონფერეცია გამართა. მას სურდა საზოგადოებისთვის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზები აეხსნა.

სამძებრო ორგანოები პროფესორ ომარ ქუცნაშვილს, შპს „ჯეოინჟინერინგის“ გენერალურ დირექტორს, ბრალს სდებენ სახელმწიფო თანხების მითვისებაში, საანგარიშსწორებო დოკუმენტებში ყალბი მონაცემების შეტანით. გამომძიებელთა აზრით, ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს (**MCG**) ფონდის დაკვეთით ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობა, ომარ ქუცნაშვილის დავალებით, დამკვეთისგან მეტი ფულის მიღების მიზნით, ხელოვნურად გაიზარდა.



*ზაქარია ქუცნაშვილმა პრესკონფერენცია გამართა*

ზაქარია ქუცნაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სახელმწიფო თანხების მითვისება შეუძლებელი იყო, რადგან კონტრაქტი ფიქსირებული ფასის მიხედვით გაფორმდა. რადგან სახელშეკრულებლო ფასი ფიქსირებული იყო, იგი არ შეიცვლებოდა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით. მან პრესკონფერენციაზე ისაუბრა იმ მიზეზებზე, რაც, მისი აზრით, შეიძლებოდა ომარ ქუცნაშვილის დაპატიმრების მოტივი გამხდარიყო.

პირველ მიზეზად „ნაციონალურ მოძრაობაში“ ფულის არმიტანა დაასახელა და აღნიშნა, რომ 2007 წლის 27 დეკემბერს მამამისს დაურეკეს ნაციონალური მოძრაობიდან და პარტიის ცენტრალურ ოფისში გამოცხადება სთხოვეს, რაზეც ომარ ქუცნაშვილისგან უარი მიიღეს.

მეორე მიზეზად ზაქარია ქუცნაშვილმა 2007-2008 წლებში გამართულ საპროტესტო აქციებში მამის მონაწილეობა დაასახელა, რაც, მისივე თქმით, დასტურდება ათეულობით ადამიანის ჩვენებით და სატელევიზიო ჩანაწერებით.

მესამე მიზეზს კი ზაქარია ქუცნაშვილი საკუთარ საქმიანობას უკავშირებს. მისი განცხადებით, ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2004 წლიდან მის მიმართ აქვს კონკრეტული მოთხოვნები: არსებული პოლიტიკური რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა და კრიტიკის შეწყვეტა; 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატად, N19 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში; რადიო „იმედში“ საავტორო გადაცემის - „კანონი ხალხისთვის“ - დახურვა. ზაქარია ქუცნაშვილმა პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ მამამისის საქმიანობის გამოძიება ერთდროულად თორმეტ გამომძიებელს დაავალა, რაც ირეალურია და მსგავსი პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

# შეცვლილი ვერსია

## რუსლან იამადაევის მკვლელობაში „ქართული კვალის˝ ძებნა უშედეგოდ დასრულდა

*24 სექტემბერს, მოსკოვის ცენტრში, სახელმწიფო სათათბროს შენობასთან ახლოს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი და რუსეთის პრეზიდენტის მიერ გმირის სტატუსით დაჯილდოებული რუსლან იამადაევი მოკლეს. მკვლელობისთანავე რუსულ მედიაში გავრცელდა დანაშაულის ვერსია. რუსი პოლიტიკოსები და რუსული მედია რუსლან იამადაევის მკვლელობაში „ქართულ კვალს“ ეძებდნენ. თუმცა, ამ ვერსიის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება რუსმა სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს. მეტიც, გუშინ რუსლან იამადაევის უმცროსმა ძმამ ისა იამადაევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ძმა მათი “ოჯახის ყოფილმა წევრმა მოკლა.”*



*ისა იამადაევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ძმა მათი ოჯახის ყოფილმა წევრმა მოკლა.*

რუსლან იამადაევის მკვლელობაში ეჭვმიტანილია, ბატალიონ ვოსტოკის ყოფილი მებრძოლი და ჩეჩნეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ასლან დილიევი. ეს განცხადება რუსული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში იამადაევების უმცროსმა ძმამ ისა იამადაევმა გააკეთა.

**დილიევი ჩვენი ოჯახის წევრად ითვლებოდა. ვფიქრობ, რომ ის მაშინ უკვე ჩვენს მტრებს გადაბირებული ჰყავდათ და მათ ჩვენი საქმიანობის თაობაზე ინფორმაციას აწვდიდა,** - განაცხადა ისა იამადაევმა. მისი თქმით, დილიევი ორი წლის წინ ბატალიონიდან გააგდეს, რის შემდეგაც, ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის მრჩევლად მუშაობდა და ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა.

**როცა რუსლანი მოკლეს, ჩვენ მაშინვე ეჭვი გამოვთქვით, რომ მკვლელი დილიევი უნდა ყოფილიყო. ამაზე მკვლელობის ხელწერა მეტყველებდა. ახლა ამის თაობაზე საგამოძიებო სტრუქტურები საუბრობენ,** - განუცხადა ჟურნალისტებს ისა იამადაევმა.

რუს სამართალდამცველთა ინფორმაციით, 2008 წელს დაკავებული ასლან დილიევი ამჟამად ბრალდებულია ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების - ლაზანსკის დაჯგუფების ლიდერის მუსტაფ შიდაევის მკვლელობაში. ისა იამადაევის ინფორმაციით, დილიევს, ასევე ორი გოგონას მკვლელობაში ადანაშაულებენ, რომელთაც დუმის ერთ-ერთ დეპუტატთან საეჭვო ურთიერთობები ჰქონდათ. გარდა ამისა, არსებობს ვარაუდი, რომ დილიევის მოკლულია ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის პირადი დაცვა ალიხან მუცაევი.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის ძველი მტერი და რუსეთის პრეზიდენტის მიერ გმირის სტატუსით დაჯილდოებული რუსლან იამადაევი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან შეხვედრის შემდეგ მოკლეს.

არსებული ინფორმაციით, ბატალიონ „ვოსტოკის“ მეთაურებს - ძმებ იამადაევებს, რომლებმაც ჩეჩნეთის ომის მიმდინარეობისას რუსეთის სასარგებლოდ გადამწყვეტი როლი ითამაშეს, ჩეჩნეთის პრეზიდენტ კადიროვთან სერიოზული კონფლიქტი ჰქონდათ. რის გამოც, ძმები იამადაევები, ფაქტობრივად, იატაკქვეშეთში იმყოფებოდნენ. კადიროვმა ძმები იამადაევები ბოროტმოქმედებად და ჩეჩენი ხალხის მტრებად გამოაცხადა. უმცროს ძმა ბატრუდინზე და შუათანა ძმა სულიმზე ჩეჩენმა სამართალდამცველებმა ძებნა გამოაცხადეს. სულიმ იამადაევზე ძებნა მას შემდეგ შეწყდა, რაც მისმა ბატალიონმა ვოსტოკმა აგვისტოში ცხინვალში საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მას რუსეთის პრეზიდენტმა რუსეთის გმირის წოდებაც კი უბოძა.

ჩეჩნეთიდან გამოძევების შემდეგ, იამადაევის ბატალიონი კომერციული ბატალიონი გახდა და სოლიდური თანხების სანაცვლოდ, რუსეთის ხელისუფლების შეკვეთებზე მუშაობდა.

გაზეთ „კომერსანტის“ ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში სულიმ იამადაევი ხალხში გამოჩენას ერიდებოდა, მას თან ახლდა გაძლიერებული დაცვა. რაც შეეხება რუსლან იამადაევს, მას დაცვა არასოდეს არ ჰყოლია, მაგრამ მასთან ერთად ყოველთვის იმყოფებოდნენ რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნები, რაც, მისი აზრით, უსაფრთხოების გარანტიებს უქმნიდა.

ძველი მტრის მკვლელობის შესახებ რამზან კადიროვმა მისი პრესმდივნისგან

შეიტყო. კადიროვი მომხდარმა მკვლელობამ გააკვირვა და გააბრაზა. მან განაცხადა, რომ ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ რუსლან იამადაევი სიცოცხლეს ასე დაასრულებდა, - განაცხადა კადიროვის პრესმდივანმა.

იამადაევის მკვლელობასთან დაკავშირებით განიხილებოდა ვერსია, რომლის მიხედვითაც, მკვლელობა კადიროვმა შეუკვეთა.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს პირველი ვიცე-სპიკერი ალექსანდრე ტორშინი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები კი რუსლან იამადაევის მკვლელობაში „ქართული კვალის“ არსებობაზე საუბრობდნენ.

„არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ დამნაშავეები რუსლან იამადაევის ძმასთან - სულიმთან ანგარიშსწორებას აპირებდნენ, რომელიც ცხინვალში ქართული აგრესიის მოგერიების ოპერაციაში მონაწილე ჩეჩნურ ბატალიონ „ვოსტოკს“ ხელმძღვანელობდა,“ - განაცხადა ტორშინმა.

ქართული ვერსია დღის წესრიგიდან მოიხსნა. როგორც ისა იამადაევი აცხადებს, მისი ძმა ყოფილმა თანამებრძოლმა მოკლა.

# იუშჩენკოს და ტიმოშენკოს მორიგი უთანხმოება

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ტიმოშენკომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გაზის კრიზისის დროს უშიშროების საბჭო არ შეკრებილა და მხოლოდ პარასკევს "მართავს სხდომას, რათა გაზის საკითხზე მიღწეული შეთანხმებები კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს".

**"სამწუხაროდ, უკრაინის პოლიტიკაში ყველაფერი ამგვარად ხდება,"** – აღნიშნა ტიმოშენკომ და იქვე დაამატა, რომ უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაზის მიწოდების შესახებ უკარინა-რუსეთის შეთანხმებები ვერ გადაიხედება.

**"მტკიცედ შემიძლია, განვაცხადო, რომ ეს შეუძლებელია და ვერავინ დააბრუნებს მუშაობის ძველ ჩრდილოვან სქემებს. ყველაფერი ისე იქნება, რასაც მთავრობამ და "უკრაინის ნაფტოგაზმა" მოაწერეს ხელი,"** – განაცხადა ტიმოშენკომ.

მისი თქმით, ბოლო დროს უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მექანიზმი ქვეყნის მთავრობაზე ზეწოლის საშუალებად გამოიყენებოდა. **"მას შემდეგ, რაც 2008 წელს ჩვენ მოვიშორეთ "უკრგაზენერგო" და შეზღუდვები დავუწესეთ "როსუკრენერგოს", ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო ორჯერ შეიკრიბა და ყოველივე ამის უკან დაბრუნებას მაიძულებდნენ,"** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ტიმოშენკო არ გამორიცხავს, რომ მასზე ზეწოლას საბჭოს დღევანდელ სხდომაზეც განახორციელებენ. **"კარგად მოგეხსენებათ, როდესაც გაზის კრიზისი იყო, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომა არავის მოუწვევია. მაგრამ, როდესაც მოცემული მომენტისთვის ყველა კორუფციული შუამავალი გვყავს ჩამოშორებული, პარასკევს საბჭოს სხდომას მართავენ და ჩვენგან მოითხოვენ პასუხს კითხვაზე, რატომ მოვიშორეთ "როსუკრენერგო" ამ ეტაპზე,"** – განაცხდა მან.


იულია ტიმოშენკო რუსეთთან მიღწეულ შეთანხმებას კბილებით იცავს.

ტიმოშენკომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ ამგვარი ქმედებების მიზეზი იცის. **"თუ "რუსუკრენერგო" ათას კუბურ მეტრზე საშუალოდ 55 დოლარის მიღებას გეგმავდა, რაც საერთო ჯამში, დაახლოებით, 2,5-3 მილიარდ დოლარს შეადგენს, ჩემთვის ეს ისტერიკა გასაგებია, რადგან მთელი ეს ფული პრეზიდენტობის ორი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაზე უნდა დახარჯულიყო. ეს პატივცემული ბატონები ამ ფულს ვერ მიიღებენ,"** – მტკიცედ აღნიშნა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა და იქვე დაამატა, რომ ყველაფერს იღონებს კორუფციის აღმოფხვრისთვის არა მარტო გაზის სექტორში, არამედ სხვა სფეროებშიც.

**"ახალ წლამდე, დაახლოებით, სამი კვირით ადრე მუდმივად მესიზმრება ადამიანი, რომელიც სარქველს უჭერს. უკვე ზედიზედ რამდენიმე წელია. ამჟამად ჩვენ აბსოლუტურად პროგნოზირებადი 10-წლიანი ურთიერთობები გვაქვს,"** – თქვა ტიმოშენკომ.

იმავდროულად, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ენერგეტიკულ საკითხებში ალექსანდრ გუდიმამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო მიღწეული შეთანხმებიდან ცალმხრივად გამოსვლის თაობაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, ამას იურიდიული შედეგები მოჰყვება. მრჩევლის აზრით, კონტრაქტის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, შესაძლოა, მხოლოდ იუშჩენკოს პიარ-კამპანიის ნაწილი გახდეს საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

19 იანვარს მოსკოვში "ნაფტოგაზმა" და "გაზპრომმა" ხელი მოაწერეს შეთანხმებებს 2009-2019 წლებში გაზის მიწოდებისა და ტრანზიტის შესახებ. უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ 2009 წლის პირველ კვარტალში გაზის საფასურს, რომელიც ათას კუბურ მეტრზე 360 დოლარით განისაზღვრა, უკრაინისთვის მარცხის ტოლფასი უწოდა.

**"თუ "გაზპრომის" ხელმძღვანელი 360 დოლარზე საუბრობს, სხვა ფასი აღარ იქნება. უკრაინას ამგვარ ფასთან ადაპტირება მოუწევს,"** – აღნიშნა მან. მისი აზრით, საჭიროა, რომ რუსული გაზის ტრანზიტის საფასური უკვე ახლა ორჯერ გაიზარდოს, შემდეგ კი "გაზპრომს" 20-პროცენტიანი შეღავათი დაუწესდეს.

# კადაფი ობამას ბინ ლადენისთვის შანსის მიცემას სთხოვს

ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ აშშ-ს ახალ ადმინისტრაციას საერთაშორისო ტერორისტულ ქსელ "ალ ქაიდას" ლიდერ უსამა ბინ ლადენთან დიალოგისკენ მოუწოდა. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ამგვარი იდეა ლიბიის ლიდერმა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ტელეხიდის დროს წამოაყენა.

კადაფის აზრით, ბოლო დროს ბინ ლადენი დასავლეთთან მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნის სიგნალებს ავლენდა. **"უსამა ბინ ლადენი არის ადამიანი, რომელსაც გამოსწორების შანსი უნდა მიეცეს. შესაძლოა, დიალოგის მეშვეობით გავიგოთ, რამ აიძულა იგი, გაეკეთებინა ის, რაც მან ჩაიდინა,"** – განაცხადა ლიბიის პრეზიდენტმა.

როგორც სააგენტო "როიტერი" აღნიშნავს, ჯერჯერობით ერთადერთი ნათელი მაგალითი ადამიანისა, რომელიც აშშ-სთან მოლაპარაკებების შედეგად შეიცვალა, თავად კადაფი გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ 20 წლის წინ ვაშინგტონმა ბრალი დასდო ლიბიის სპეცსამსახურებს "ბოინგ-747"-ზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში, რომელიც 1988 წლის 21 დეკემბერს შოტლანდიის ქალაქ ლოკბერის თავზე მოხდა. თვითმფრინავი, რომელიც ლონდონის ჰითროუს აეროპორტიდან ნიუ იორკის მიმართულებით ასრულებდა რეისს, ჰაერში აფეთქდა, რის შედეგადაც 270 ადამიანი დაიღუპა: 259 აფეთქების შედეგად, ხოლო 11 – მიწაზე.

დიდი ხნის განმავლობაში ტრიპოლი საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა, თუმცა 2003 წელს ლიბიამ მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე უარი განაცხადა და ტერაქტის შედეგად თვითმფრინავში გარდაცვლილთა ოჯახებისთვის კომპენსაციის გადახდას დათანხმდა. ამ ნაბიჯის გამო 2004 წელს ვაშინგტონსა და ტრიპოლის შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა.

უსამა ბინ ლადენმა საერთაშორისო საზოგადოებას თავი უკანასკნელად მიმდინარე წლის იანვარში შეახსენა, როდესაც ღაზას სექტროში ისრაელის ოპერაციის საპასუხოდ აუდიომიმართვა გაავრცელა. მან მუსლიმანურ ქვეყნებს აშშ-სა და ისრაელის წინააღმდეგ ჯიჰადისკენ მოუწოდა.

**"ღმერთმა დაგვაჯილდოვა მოთმინებით, რათა კიდევ შვიდი წლით გავაგრძელოთ ჯიჰადის გზა, შემდეგ კიდევ შვიდით და კიდევ შვიდით. საკითხავია, შეძლებს კი ამერიკა ჩვენთან ბრძოლას კიდევ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე? ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებენ,"** – განაცხადა ნომერ პირველმა ტერორისტმა.

ბინ ლადენის აზრით, საერთაშორისო ფინანსურ კრიზისს მსოფლიოში აშშ-ს გავლენა ვარდნისკენ მიჰყავს, შესაბამისად, ეს მისი მოკავშირე ისრაელის დასუსტებასაც გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების მოწოდებასთან ერთად, ბინ ლადენმა მკაცრად გააკრიტიკა იმ არაბული ქვეყნების ლიდრები, რომლებიც თავიანთ ქვეშევრდომებს პალესტინის მიწის გათავისუფლების უფლებას არ აძლევენ.

## ირანის უშიშროების სამსახურმა ″ბი-ბი-სი″-ს ირანული რედაქციის თანამშრომლები დააკავა

ირანის უშიშროების სამინისტრომ "ბი-ბი-სი"-ს ირანული რედაქციის რამდენიმე თანამშრომელი დააკავა. ამის შესახებ ირანის პარლამენტის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჰუსეინ სუბჰანიამ განაცხადა.

მისი თქმით, ისინი, "ჟურნალისტური საფარველის ქვეშ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ხავერდოვანი რევოლუციის მოწყობას გეგმავდნენ" და "მუშახელის შეგროვება ჯერ კიდევ რამადანის თვის დადგომამდე დაიწყეს."

"რამადანის თვეში უშიშროების სამინისტრომ ამ ჯგუფის წინააღმდეგ ოპერაცია მოამზადა. ისინი ირანის რევოლუციის საწინააღმდეგო აზრის გავრცელებით მოსახლეობაში განხეთქილების დათესვას ცდილობდნენ," - განაცხადა სუბჰანიამ.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რატომ არ გააკეთა ირანის უშიშროების მინისტრმა ამის შესახებ განცხადება ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე, სუბჰანიამ აღნიშნა, რომ რადგან საკითხი პრესას ეხებოდა, უშიშროების მინისტრს სურდა, ეს საკითხი კულტურისა და ქვეყნის ისლამური ორიენტაციის მინისტრთან შეეთანხმებინა.

**ჯი-იჩ-ენი**

## აშშ-ს გაერო-ში ახალი ელჩი ჰყავს

ამერიკის შეერთებულ შტატებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი ელჩი ჰყავს. ეს პოსტი სიუზენ რაისმა დაიკავა. შესაბამისი გადაწყვეტილება აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მიიღო.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას პრეზიდენტის პოსტის ოფიციალურად დაკავება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ აშშ-სა და გაერო-ს ურთიერთობებში მალე "ახალი, მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის ერა დაიწყება."

***ჯი-იჩ-ენი***

## პაკისტანში ლონდონის მეტროში მომხდარი აფეთქების მოწყობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

პაკისტანის ხელისუფლებამ "ალ ქაიდას" ტერორისტული დაჯგუფების წევრი დააკავა, რომელიც 2005 წელს ლონდონის მეტროში მომხდარი აფეთქების მოწყობაშია ეჭვმიტანილი.

ტერორიზმში ეჭვმიტანილი ზაბიხ ალ-ტაიფი პაკისტანში, ქალაქ ფეშავასთან ახლოს მდებარე სოფელში სამართალდამცველი ორგანოების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს.

ზაბიხ ალ-ტაიფის გარდა, პოლიციამ კიდევ 6 ადამიანი დააკავა, რომელთა შორის ავღანელები და პაკისტანელები არიან.

ცნობისათვის - 2005 წლის 7 ივლისს, ლონდონის მეტროში მომხდარი ბომბის აფეთქების შედეგად 52 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 900 ადამიანი დაიჭრა.

***ჯი-იჩ-ენი***

## აშშ-ს სენატმა სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჰილარი კლინტონის კანდიდატურას მხარი ხმათა უმრავლესობით დაუჭირა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჰილარი კლინტონის კანდიდატურას აშშ-ს სენატმა მხარი დაუჭირა 94 ხმით ორის წინააღმდეგ. კენჭისყრაში სულ 96 სენატორი მონაწილეობდა.

ჰილარი კლინტონის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირეს "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებმა, რადგან მიიჩნევენ, რომ ჰილარის მოღვაწეობა მისი მეუღლის საქმიანობის სფეროსთან ინტერესთა კონფლიქტში მოდის.

ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტმა სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჰილარი კლინტონის კანდიდატურა 2008 წლის 1 დეკემბერს წარადგინა და განმარტა, რომ ჰილარი ამ თანამდებობაზე ყველაზე შესაფერისი კანდიდატია.

"მე დიდი ხანია, ვიცნობ ჰილარის და ვაფასებ მის გამოცდილებას. მას საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს მსოფლიო ლიდერებთან და ჩვენი ინტერესების დაცვას მთელ მსოფლიოში შეძლებს," - განაცხადა ბარაკ ობამამ.

15 იანვარს გამართულ კენჭისყრაზე სენატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის წევრებმა ჰილარის კანდიდატურას სახელმწიფო მდივნის პოსტზე 16 ხმით ერთის წინააღმდეგ დაუჭირეს მხარი.

სენატში მისი კანდიდატურის განხილვებისას ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ შეეცდება, მეტი აქცენტი დიპლომატიურ ურთიერთობებზე გაკეთდეს და არა საომარი ძალის გამოყენებაზე და განმარტა, რომ ამას თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსთან ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მიაღწევს.

"ამერიკა ყველაზე მწვავე პრობლემებს მარტო ვერ გადაწყვეტს, მსოფლიო კი მათ ამერიკის გარეშე ვერ გაუმკლავდება," - განმარტა კლინტონმა.

ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა შემცვლელის შესახებ საკუთარი აზრი დააფიქსირა და განაცხადა, რომ "ჰილარი უზარმაზარი ენერგიით, ჭკუითა და კომპეტენტურობის მაღალი დონით გამოირჩევა". ასეთი იყო უკვე ექს-სახელმწიფო მდივნის შეფასება.

***ჯი-იჩ-ენი***

# რუსი ოლიგარქის საიდუმლო

ლევან საბანაძე

*დიდ ბრიტანეთზე რუსი ოლიგარქების "შეტევა" გრძელდება. რუსეთში გამდიდრებული "ახალი რუსები" ბოლო რამდენიმე წელია, ბრიტანული უძრავ-მოძრავი ქონების შესყიდვით ინტერესდებიან. უკანასკნელი ასეთი სიახლე კი ერთ-ერთი რუსი ოლიგარქის ალექსანდრ ლებედევის მიერ ბრიტანული ყოველდღიური გამოცემა "ივნინგ სტანდარტის" ყიდვაა. ამ ფაქტმა დასავლურ პრესაში საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. საქმე ისაა, რომ ალექსანდრ ლებედევი არა მარტო რუსი მილიარდერია, ის ყოფილი საბჭოთა "კაგებეს" მაღალჩინოსანიცაა. ამდენად გასაგებია, თუ რამ გამოიწვია დასავლეთის შეშფოთება. თუმცა შესაძლოა, ამ გარიგების მიზანი არა რუსული სპეცსამსახურების ზრახვები, არამედ პირიქით - რუსეთში დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერება იყოს.*


AFP ' 2009

ალექსანდრ ლებედევმა "ივნინგ სტანდარტი" შეიძინა.

დასავლური პრესა ცდილობს, გამოიცნოს, თუ რა მიზნები იმალება ამ გარიგების უკან. ალექსანდრ ლებედევი, რომელიც უკვე ფლობს რუსულ გამოცემა "ნოვაია გაზეტას", ამიერიდან "ივნინგ სტანდარტში" 75-პროცენტიანი წილის მფლობელია. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ლებედევი კრემლის კრიტიკოსთა სიაში ირიცხება. მერე რა, რომ ის ამას საკმაოდ გაწონასწორებულად აკეთებს. მას გამოკვეთილად ლიბერალური მსოფლმხედველობა აქვს. ბოლოს და ბოლოს, ანა პოლიტკოვსკაია, რომლის მკვლელობის საქმის გახსნისაც არავის სჯერა და რომლის ლიკვიდაციის უკანაც კრემლის ინტერესებს ხედავენ, სწორედ ლებედევის "ნოვაია გაზეტაში" მუშაობდა.

ლიბერალური აზრების და კრემლის კრიტიკის მიუხედავად, დასავლური პრესა ბრიტანულ მედიაბიზნესში ლებედევის ფეხის მოკიდებას ეჭვებით უყურებს.

**"ის ლონდონში "კაგებეს" ერთ-ერთი აგენტი იყო,"** - ასე ახასიათებს ლებედევს "ნიუ იორკ თაიმსი." გამოცემის თანახმად, ყოფილი ჯაშუში ამჟამად რამდენიმე მსხვილ რუსულ ბანკს ფლობს, გააჩნია წილი ავიაკომპანია "აეროფლოტში" და აქვს თავისი მედიაბიზნესი მოსკოვში.

**"ის ფაქტი, რომ ბატონი ლებედევი პირველი ყოფილი საბჭოთა ჯაშუშია, რომელიც ბრიტანული ყოველდღიური გაზეთის მფლობელი გახდა, ამ გარემოებას განსხვავებულად წარმოაჩენს,"** - აცხადებს "ნიუ-იორკ თაიმსთან" საუბარში როე გრინსლეიდი, "ივნინგ სტანდარტის" კოლუმნისტი.

"ნიუ იორკ თაიმსის" კითხვაზე, თუ რა მიზნები გააჩნია ლებედევს ამ გარიგებით, ბატონი გრინსლეიდი პასუხობს: **"საერთოდ, გაზეთის ფლობის ხუთი მიზეზია და ხუთივე ასო "პ"-ზე იწყება: პროფიტი (მოგება), პროპაგანდა, პოლიტიკური გავლენა, პრესტიჟი და public service (საჯარო სამსახური). რამდენადაც, "ივნინგ სტანდარტი" ამ ეტაპზე მომგებიანი აღარ არის, ამდენად დანარჩენი მიზნები უკვე სახეზეა."**

"ივნინგ სტანდარტი" კი, მართლაც, უკვე წამგებიანი ბიზნესია. მისმა ზარალმა უკვე შეადგინა 22 მილიონი ფუნტი. ყოველდღიურმა გამოცემამ, რომლის ტირაჟიც 280 ათასია, ხოლო ფასი 1 ფუნტი, როგორც ჩანს, მსოფლიო ფინანსურ კრიზისს ვერ გაუძლო.



AFP ' 2009

**"მე ვეცდები, რომ ამ დანაკარგებმა გაზეთს ვერ ავნოს,"** - განუცხადა ლებედევმა ბრიტანულ "ფაინანშალ თაიმსს."

გამოცემის კორესპონდენტთან ინტერვიუში ლებედევმა აღნიშნა, რომ ამ ეტაზე მისი მთავარი საზრუნავია "ნოვაია გაზეტა," რადგანაც რამდენიმე დღის წინ ამ გაზეთის იურისტი და ჟურნალისტი მოკლეს. ორშაბათს მოკლული ანასტასია ბაბუროვა, ანა პოლიტკოვსკაიას შემდეგ მეორე ჟურნალისტია, რომელიც "ნოვაია გაზეტამ" პუტინის რეჟიმის დროს დაკარგა. მიუხედავად ამისა, რუსი მილიარდერი ბრიტანული პრესით ინტერესდება. **"ჩემი აზრით, ბრიტანელები თავისუფალ პრესას ზემოდან უყურებენ. მაგალითად, ისინი მიიჩნევენ, რომ პრესას არა აქვს მათ პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება. მე მათ ვურჩევდი, იცხოვრონ იმ საზოგადოებაში, სადაც თავისუფალი პრესა არ არსებობს და მაშინ ვნახავდით, თუ როგორ შეიცვლებოდა მათი პოზიცია,"** - აცხადებს ლებედევი "ფაინენშალ თაიმსთან" საუბარში.

ის გეგმავს, რომ ამ ეტაპზე "ივნინგ სტანდარტის" ხარჯების 20 პროცენტი თავისი ფინანსებით დაფაროს. ამასთანავე, პირობას დებს, რომ სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას არ აპირებს, თუმცა გაზეთს ერთი მიზნისთვის მაინც გამოიყენებს - **"დავეხმარები პუტინს კორუფციასთან ბრძოლაში,"** - ამბობს ლებედევი. მას მიაჩნია, რომ ამ საქმეში "ნოვაია გაზეტა" ჯერჯერობით მარტოა და "ივნინგ სტანდარტის" რუსულ პროცესებში ჩართვა მნიშვნელოვანი იქნება.

მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში ეჭვით უყურებენ ლებედევის პიროვნებას. "ფაინენშალ თაიმსის" ცნობით, რუსი ოლიგარქი ლონდონში 4 წლის მანძილზე დიპლომატის საფარით მუშაობდა.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლონდონში მრავლად არიან ყოფილი რუსი ჯაშუშები. ოლეგ გორდიევსკი და ვიქტორ სუვოროვი თავის დროზე "კაგებეს" მაღალჩინოსნები იყვნენ, ამჟამად კი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში მშვიდად სხედან და კრემლის "კაგებეშნიკურ" პოლიტიკას იქიდან აკრიტიკებენ. ლონდონშივე ცხოვრობდა პუტინის "დახმარებით" გარდაცვლილი "ფეესბეს" ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრ ლიტვინენკოც. ასევე ლონდონში ცხოვრობს და იქიდან იბრძვის პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი. ლონდონშივეა ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის თანამბერძოლი აჰმედ ზაკაევიც. **"რუსული საელჩოს განცხადებით, ლონდონში, 2008 წლის მონაცემებით, 300 ათასამდე რუსი ცხოვრობს, მათ შორის კი გამორჩეული მილიარდერები და მრავალი მილიონერია,"** - წერს "ნიუ იორკ თაიმსი."

ლებედევის შესახებ წერს "ბერლინერ ცაიტუნგიც." კატია ტიხომიროვას სტატიაში აღნიშნულია, რომ "დიპლომატიური" კარიერის დასრულების შემდეგ ლებედევი წარმატებული ბიზნესმენი გახდა და პოლიტიკაშიც ჩაერთო. **"მან ერთიმეორეს მიყოლებით გამოიცვალა პოლიტიკური პარტიები - დაწყებული მემარჯვენე რადიკალებიდან და პრო-სამთავრობო "სამართლიანი რუსეთით" დამთავრებული."** იქვე სტატიის ავტორი იზიარებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ლებედევი შესაძლოა ნელ-ნელა გადაბარგდეს ბრიტანეთში და "ლონდონის ჯაშუშურ კლუბს" შეუერთდეს, სადაც პუტინთან დაპირისპირებული რუსი "ექს-კაგებეშნიკები" საქმიანობენ.

ფრანგული გამოცემა "ექსპრესი" კი ალექსანდრ ლებედევს ანტიოლიგარქს უწოდებს. გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ლებედევს თავისი პოლიტიკური შეხედულებები და ცხოვრების სტილი დასავლეთის აღიარების ადვილად მოპოვებაში დაეხმარება.

CMYK - 9

HP გირჩევთ Windows Vista® Business-ს.

AMD Business Class

# ჩვენ არ ვცდით თქვენს მოთმინებას.
# ჩვენ საკუთარ თავს ვცდით,



# 95000 საათის განმავლობაში.

HP Compaq 6735b, HP DuraFinish და HP 3D DriveGuard-სთან ერთად.

მან 95000 საათიანი მკაცრი შემოწმება გაიარა, შექმნილია იმისთვის რომ გაძლოს, მაგრამ ეს ყველაფერი როდია HP 3D DriveGuard აღიქვამს ნებისმიერ უეცარ მოქმედებას და ინახავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომ არაფერი დაზიანდეს. მაგნიუმის შენადნობის შემცველი სტრუქტურა უზრუნველყოფს დიდ სიმტკიცესა და სტაბილურობას. HP DuraFinish გარედან დაფარულია გარსით, რომელიც არ იკაწრება. ყოველივე ეს სრულად უზრუნველყოფს თქვენი ბიზნესის დაცვას საუკეთესო მობილურობისთვის. HP Compaq 6735b აღჭურვილია AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor ორმაგბირთვიანი პროცესორით.

- AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor
- Genuine Windwa Vista® business
- ნაწილების გამძლეობისა და მუშაობის 1-წლიანი გარანტია

HP TOTAL CARE

დაიცავით თქვენი ბიზნესი გაზარდეთ გარანტია კიდევ 3 წლით.
HP Care Pack მომსახურების პაკეტის გამოყენებით

სერთიფიცირებულია

hp.com/ge

კომპიუტერი კვლავ პერსონალურია

© 2008 Hewlett-Packard Development Company, L.P. Microsoft and Windows are U.S. registered trademarks of Microsoft Corporation. Windows Vista is either a registered trademark or trademark of Microsoft Corporation in the United States and/or other countries. AMD, the AMD Arrow logo, AMD Turion and combinations thereof, are trademarks of Advanced Micro Devices, Inc. The information contained herein is subject to change without notice.

CMYK - 9

კომენტარები მთავარზე



## რას გვთავაზობენ

ლაშა ბუღაძე

რას გვთავაზობენ?

პირველი არხი გვთავაზობს რაღაცნაირ განწყობას და გადაცემას, სახელად "დიდი ათეული".

საპატრიარქო გვთავაზობს, რომ "დიდი ათეულის" კენჭისყრიდან ამოვიღოთ ქართველი წმინდანები.

"დიდი ათეულის" წამყვანები გვთავაზობენ შიშს - მათ, ეჭვი მაქვს, ოდნავ ველური და მცირედ წარმართული დამოკიდებულება აქვთ ქრისტიანული რწმენის მიმართ: წამყვანებს ჰგონიათ, რომ თუკი საპატრიარქოს ნებას არ დამორჩილდებიან, ბოტკინი, მყივანა ხველა, ქუნთრუშა ან რაიმე ამგვარი სენი შეეყრებათ.

პირველი არხის სამეთვალყურეო საბჭო გვთავაზობს, ერთი მხრივ, რაღაც უცნაურ ვირ-ეშმაკობას ("მაშ, წმინდანები ამოვიღოთ, არა? კი ბატონო, ამოვიღებთ, მაგრამ მაშინ პროექტსაც დავხურავთ"), მეორე მხრივ კი, გამაოგნებელ განუვითარებლობასაც ("კანონზე მაღლა პატრიარქი დგას").

პირველი პრეზიდენტის მეორე მეუღლე საკუთარ მეორე ქმარს გვთავაზობს პირველ ქართველად.

ოპოზიცია გვთავაზობს პათოსს, რომ ხელისუფლება ებრძვის საპატრიარქოს.

ხელისუფლება კი პოლიტიკურ პარტნიორობას სთავაზობს (ადრე არ თავაზობდა) საპატრიარქოს.

ხელისუფლება ეპისკოპოსებს სთავაზობს ჯიპებს, პატრიარქს კი უშველებელ და უთბილეს ტელესიუჟეტებს.

ორივენი, ხელისუფლებაც და საპატრიარქოც, ტელე-ცენზურასა და ტელე-კონტროლს სთავაზობს საქართველოს გაწამებულ მოქალაქეებს.

საპატრიარქო, ასევე, ბაგრატიონ გოგო-ბიჭს გვთავაზობს მომავალი სავარაუდო მეფის დონორ-მშობლებად.

საპატრიარქო გვთავაზობს ქეთი დოლიძესაც, როგორც სანიმუშო მორწმუნე-რეჟისორს.

ყოფილი ინტელიგენტები კი გვთავაზობენ დიდ ფარისევლობას: ტელე-კამერები თუ არ არის ახლო-მახლო, ისე ეკლესიებში არ დადიან, ხოლო ინტერვიუების დროს მოოქროვილ ხატებს ილაგებენ ფონად.

ყოფილი ინტელიგენტები (და, სამწუხაროდ, სხვებიც) ისეთ კომენტარებს გვთავაზობენ პატრიარქის შესახებ, გეგონება, ცეკას მდივანზე ლაპარაკობდნენ.

საკუთარი ეკლესიურობით მოკეკლუცე ხალხი გვთავაზობს დიდ გაუნათლებლობას - მათ რომ ერთხელ მაინც ჰქონდეთ სახარება წაკითხული (ერთი მაინც, თუნდაც ფრაგმენტალურად), ეცოდინებოდათ, რა ჰქვიათ სხვის დასანახად მლოცველ ადამიანებს.

და ჩვენ?

ჩვენ რას ვთავაზობთ ჩვენსავე ქვეყანას?

მეფეს? უხუცესთა საბჭოებს? თუ კვლავაც ნაწილობრივ დემოკრატიასა და არა-თანმიმდევრულ, ისტერიულ საერო მთავრობებს?

როგორი ქვეყანა გვინდა, ბოლო-ბოლო?

იქნებ მარტო წმინდანები კი არა, სხვებიც უნდა ამოგვეღო "დიდი ათეულიდან"!

რა საერთო გვაქვს იმ ხალხთან?

გამოხმაურება

# ლაშა ბუღაძე, კასიუს კლეი და საშობაო ინდაური

რუსუდან ჩადუნელი

ერთ მშვენიერ საღამოს, ჩემი ყურადღება 16 იანვრის "24 საათის" გვერდიდან სევდანარევი თვალებით მომზირალი ლაშა ბუღაძის ფოტომ მიიპყრო. ამჯერად, ლაშა განვლილ, 2008 წელზე წერდა. დავინტერესდი და ჩავიკითხე. რომ არა ერთი წინადადება, ამ წერილს თბილისის ცენტრალური უბნების მოდას აყოლილი ბუღაძის მორიგ ქილიკად ჩავთვლიდი, ცნობიერების ნაკადივით რომ მოედინება.

“[2008 წელი] წარმატებული იყო, აბა რა! ... ჩვენმა ჯარმა მიწასთან გაასწორა რუსული არმია და ერთ დღეში ყველა ის ომი მოიგო, რომელიც კრწანისის ბრძოლის მერე წაგვიგია,” - წერს ავტორი.

ამ წინადადებამ ერთი ამბავი გამახსენა. 2004 წლის მიწურულს, ერაყის ომის დროს, საშობაოდ ნიუ იორკში ჩავედი მეგობრებთან. ეს ის პერიოდია, ყველა ნიუ იორკელის მეორე თუ არა, მესამე წინადადებაში ჯორჯ ბუშის გინება რომ ისმის და მთელს ქვეყანაში ერაყის ომის საწინააღმდეგო გამოსვლები რომ მძვინვარებს. კენედის სახელობის აეროპორტში თვალშისაცემად ბევრი სამხედრო შევნიშნე. ისინი საშობაოდ შინ ბრუნდებოდნენ. არასდროს დამავიწყდება ის ამაღლებული განწყობა, რითაც აეროპორტის პერსონალი, მესაზღვრეები, მებაჟეები, მგზავრები, მოკლედ, რიგითი ამერიკელები ჯარისკაცებს ხვდებოდნენ. ისინი მათ შინ მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდნენ, მადლობას უხდიდნენ, ურიგოდ ატარებდნენ, ხელს ართმევდნენ. მგზავრების ერთმა ჯგუფმა ჯარისკაცებს უმღერა კიდეც.

ფიქრებს შევყევი და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, საიდანღაც კასიუს კლეი გამოძვრა. ბევრს გემახსოვრებათ აფრო-ამერკელი მოკრივე, რომელმაც არ დატოვა არც ერთი მძიმე წონიანი მსოფლიო ვარსკვლავი, ნოკაუტში რომ არ ჩაეგდო. ალბათ, ზოგიერთს ზემოხსენებული სპორტსმენის სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული სკანდალიც ახსოვს. კლეი ისლამს ეზიარა, მუჰამედ ალი დაირქვა და უარი თქვა ამერიკულ ჯარში სავალდებულო სამსახურზე ვიეტნამის ომის დროს: ალაჰი ან მისი მოციქული მუჰამედი თუ არ მიბრძანებს, ყურანი ომს მიკრძალავსო. ვიეტნამელებს რატომ ვებრძოლო, მათ ჩემთვის “ნიგერი” არასდროს უწოდებიათო.

კასიუს კლეის ამ საქციელმა სიტყვის თავისუფლების სამშობლოში დიდი საზოგადოებრივი დისკუსია გამოიწვია. სპორტსმენს ჩამოართვეს მოკრივის ლიცენზია და ყველა მისი ტიტული. საქმე სასამართლო პროცესამდეც მივიდა, სადაც კლეის, იმ დროს უკვე მუჰამედ ალის, დეზერტირობაში სდებდნენ ბრალს. პირველმა ინსტანციამ ალის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ალიმ არ მოისვენა და უზენაეს სასამართლოს მიმართა. ეს ის დროა, როცა ამერიკა ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო კამპანიაშია გახვეული და ალის მხარდაჭერაც ამ კამპანიის ნაწილადაა ქცეული. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, 4 წლიანი დავის შემდეგ, 1971 წელს, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ალის ყველა ბრალდება მოუხსნა.

### რა შუაშია ინდაური?

საახალწლოდ პრეზიდენტმა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რჩევითა და დახმარებით, თვალსაჩინო ქართველებს გულის მოსაგებად ინდაურები დაურიგა. საჩუქარი ბუღაძესაც ერგო, როგორც თვალსაჩინო ქართველს. ინდაურით გულის მოგების მცდელობა, ისევე როგორც ინდაურით მოგებული გული, რბილად რომ ვთქვა, საინტერესო ფენომენია, მაგრამ ამჯერად სხვა რამ მინდა ვიცოდე: ნეტავ რას იზამდა კასიუს კლეი, ლინდონ ჯონსონს ან რიჩარდ ნიქსონს მისთვის ერთი კარგი, მსუქანი ინდაური რომ გაეგზავნა?

თუმცა, იმაში დარწმუნებული ვარ, რომ 18 დღიან რეზერვში გაწვეული მოკრივე, ბუღაძესავით, მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მიღებული სტრესის გამო ჩაფიძის კლინიკაში არ ამოყოფდა თავს, კლინიკის დატოვებიდან სამ-ოთხ დღეში კი, კვარიათის პლაჟზე გაწოლილი, წიგნის კითხვითა და ინტელექტუალური საუბრებით არ მოიშუშებდა მუხროვანის იარებს.

### რატომ ვყვები ამ ყველაფერს?

ბუღაძის მიერ ჯარის დაცინვით შეშფოთებულმა, არ დავიზარე და თვალი გადავავლე კასიუს კლეის გამოსვლებს, რომლებსაც უხვად აწყობდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ამერიკის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში. იგი ლანძღავდა პრეზიდენტს, კონგრესს, აკრიტიკებდა სასამართლოს, აგინებდა მთელ თეთრ რასას, მაგრამ არასოდეს, არც ერთხელ არ დაუცინია ჯარისთვის (შეიძლება მე ვერ მივაგენი, მაგრამ დამერწმუნეთ, ბევრი ვეძებე). ძიებისას ერთ საინტერესო ამბავს წავაწყდი: სამხედრო სამსახურში გაწვევის მიზნით პირველი შემოწმებისას, კომისიამ კასიუს კლეი დაიწუნა წერა-კითხვის ცუდად ცოდნის გამო და კვალიფიკაცია მხოლოდ მეორე წელს, განმეორებითი ტესტირების შემდეგ შეუცვალა.

წერა-კითხვის ცუდად მცოდნე მისტერ კლეიც კი მიხვდა, რომ ჯარისთვის არ უნდა დაეცინა.

ჯარისკაცებმა, მართებულად თუ უმართებულოდ, ჭკვიანური თუ უჭკუო პოლიტიკის გამო (ეს ლეგიტიმური, ოღონდ სხვა დისკუსიის თემაა და შეგნებულად არ ვეხები) საკუთარი ქვეყნის თავისუფლების იდეას შესწირეს თავი.

თუმცა, ალბათ, ამის მიხვედრას ძარღვი სჭირდება და არა ინტელექტი.

# გზა წითელი ხალიჩისკენ

## ამერიკის კინოაკადემიამ "ოსკარის" ნომინანტები დაასახელა

ია ვეკუა



ზუსტად 5 წუთი და 7 წამი აღმოჩნდა საჭირო იმისთვის, რომ მსახიობ ფორესტ უიტეკერს ამერიკის კინოაკადემიის პრეზიდენტთან ერთად 2009 წლის "ოსკარის" ნომინანტები დაესახელებინა. აქვე გამოიკვეთა ნომინაციების ლიდერი - დევიდ ფინჩერის "ბენჯამინ ბატონის უცნაური საქმე" 13 ნომინაციაზეა წარდგენილი, მეორე ადგილზეა "შემთხვევითი მილიონერი" 10 ნომინაციით, ხოლო "მიკლს" და "ბნელ რაინდს" 8-8 ნომინაცია აქვთ.

გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - გამარჯვებისთვის ჯონ პატრიკ შენლის "ეჭვის" 4 მსახიობი იბრძოლებს, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. როგორც ჩანს, ფილმი სამსახიობო ნამუშევარია, ამიტომ მისი ნახვა ფილმის ამ მნიშვნელოვანი დეტალის მოყვარულებისთვის ნამდვილი დღესასწაული იქნება. მათ შორისაა მერილ სტრიპი, მსახიობი, რომელიც უკვე ფლობს 2 "ოსკარს", მთლიანობაში კი ამ ჯილდოზე 14-ჯერ იყო წარდგენილი.

წლევანდელ "ოსკარზე" უჩვეულო იქნება ისიც, რომ ნომინირებულია გარდაცვლილი მსახიობი, ჰიტ ლეჯერი, რომელმაც ჯოკერის როლისთვის რამდენიმე დღის წინ უკვე მიიღო "ოქროს გლობუსი". ასევე ნომინირებულია მიკი რურკიც. მის ასეთ ფოიერვერკულ დაბრუნებას დიდ კინოში ნამდვილად არავინ ელოდა. რურკმაც უკვე მიიღო "ოქროს გლობუსი", ახლა კი წლის მთავარ ჯილდოს უმიზნებს. ასევე დიდი შანსია იმისა, რომ "ოსკარით" დაჯილდოვების შემდეგ ერთ ოჯახში ორი ჯილდო შევიდეს - ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი მთავარი როლების შესრულებისთვის იბრძვიან.

უკვე მერამდენედ დაიჩაგრა ლეონარდო დი კაპრიო. იგი კეიტ უინსლეტს უწევს პარტნიორობას სემ მენდესის "რევოლუციურ გზაში". სამაგიეროდ ნომინირებულია უინსლეტი, თუმცა სხვა ფილმისთვის. უინსლეტი ჯილდოს მიღების ყველაზე რეალური პრეტენდენტია - მან "ოქროს გლობუსი" "რევოლუციური გზისთვისაც" მიიღო და "მკითხველისთვისაც".

რაც შეეხება საუკეთესო ფილმის ნომინაციას, თითქმის არავინ დაობს, რომ ფავორიტი ორია: "ბენჯამინ ბატონის უცნაური საქმე" და "შემთხვევითი მილიონერი". ეს უკანასკნელი კი ნამდვლად სჯობს დევიდ ფინჩერის საშინლად გაწელილ, თუმცა უაღრესად საინტერესო ფილმს (ეს კომპონენტი კი ნამდვილად სკოტ ფიცჯერალდის დამსახურებაა). დენი ბოილის ნამუშევარი, ისევე როგორც დანარჩენი ნომინირებული ფილმები ("მკითხველის" გარდა), უკვე დევს ქართულ ინტერნეტ სივრცეში და შეგიძლიათ თავად შეაფასოთ ისინი.

ახლა კი მთავარი ნომინაციების სრულ ჩამონათვალს გაგაცნობთ:

**საუკეთესო ფილმი**

"ბენჯამინ ბატონის უცნაური საქმე"
"ფროსტი/ნიქსონი"
"მილკი"
"მკითხველი"
"შემთხვევითი მილიონერი"

**საუკეთესო რეჟისორი**

დევიდ ფინჩერი - "ბენჯამინ ბატონის უცნაური საქმე"
რონ ჰოვარდი - "ფროსტი/ნიქსონი"
გას ვან სენტი - "მილკი"
სტივენ დალდრი - "მკითხველი"
დენი ბოილი - "შემთხვევითი მილიონერი"

**მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი**

რიჩარდ ჯენკინსი - "ვიზიტორი"
ფრენკ ლანჯელა - "ფროსტი/ნიქსონი"
შონ პენი - "მილკი"
ბრედ პიტი - "ბენჯამინ ბატონის უცნაური საქმე"
მიკი რურკი - "რესლერი"

**ქალის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი**

ენ ჰეთეუეი - "რეიჩელი თხოვდება"
ანჯელინა ჯოლი - "შეცვლა"
მელისა ლეო - "გაყინული მდინარე"
მერილ სტრიპი - "ეჭვი"
კეიტ უინსლეტი - "მკითხველი"

**მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი**

ჯოშ ბროლინი - "მილკი"
რობერტ დაუნი უმცროსი - "ტროპიკული ციებ-ცხელება"
ფილიპ სეიმურ ჰოფმანი - "ეჭვი"
ჰიტ ლეჯერი - "ბნელი რაინდი"
მაიკლ შენონი - "რევოლუციური გზა"

**ქალის მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი**

ემი ადამსი - "ეჭვი"
პენელოპა კრუზი - "ვიკი კრისტინა ბარსელონა"
ვიოლა დევისი - "ეჭვი"
ტარაჯი პ. ჰენსონი - "ბენჯამინ ბატონის უცნაური საქმე"
მარისა ტომეი - "რესლერი"

**საუკეთესო ანიმაციური ფილმი**

"ბოლტი"
"კუნგ ფუ პანდა"
"უოლ-ი"

# სახეშეცვლილი "ხიწვი"

## რუსთაველის თეატრში ფრანსუაზ საგანის პიესა დაიდგა

თამარ კიკნაველიძე



რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დადგმული სპექტაკლების რიცხვს კიდევ ერთი წარმოდგენა შეემატა. მის მიმართ მაყურებელი, განსაკუთრებით, მაშინ დაინტერესდა, როდესაც შეიტყო, რომ ახალი დადგმა XX საუკუნის ცნობილი ფრანგი მწერალი ქალის - ფრანსუაზ საგანის (1935-2004) პიესის მიხედვით განხორციელდა.

ფრანსუაზ საგანმა წარმატება ადრეულ ასაკში გამოქვეყნებული პირველივე რომანით - "გამარჯობა, სევდავ" მოიპოვა, რომელმაც ავტორს "კრიტიკის პრიზი" და საყოველთაო აღიარება მოუტანა. ფრანსუა მორიაკი წერდა: "*კრიტიკის პრიზი გადაეცა თვრამეტი წლის პატარა მომხიბლავ ურჩხულს, რომლის ნიჭი პირველივე აბზაციდან ნათელია და კრიტიკას არ ექვემდებარება*".

ამ მწერალმა სახელი რომანებითა და ნოველებით გაითქვა. მისი პიესებიდან ყველაზე გახმაურებულია "კოშკი შვედეთში", რომელიც არაერთი თეატრის სცენაზეა დადგმული. თუმცა, რეჟისორმა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ არჩევანი, რატომღაც, 1966 წელს დაწერილ, ნაკლებად გახმაურებულ პიესაზე - "ხიწვი" შეაჩერა და წარმოდგენას "გედის სიმღერა" უწოდა.

მართალია, საქართველოში ამ პიესის თარგმნის მცდელობები აქამდეც იყო (ძირითადად, რუსულ ენაზე შესრულებული ადაპტირებული ვერსიებიდან), მაგრამ, როგორც ირკვევა, ფრანსუაზ საგანის "ხიწვი" სრულად და თანაც, ფრანგულიდან პირველად ითარგმნა.

ცნობილი ავტორის პიესის განხორციელების გარდა, მაყურებელს ამ წარმოდგენის ნახვის სურვილი მსახიობ მარინა ჯანაშიას მიზეზით გაუჩნდა. აღსანიშნავია, რომ ეს პიესა ირინა ღოღობერიძემ, დაახლოებით, 7 წლის წინ, რეჟისორ ანზორ ქუთათელაძის თხოვნით თარგმნა. მას ამ პიესის განხორციელება, სწორედ, მარინა ჯანაშიას მონაწილეობით სურდა. ბ-ნი ანზორის ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, ამ ნაწარმოებს ხელი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ მოჰკიდა და მთავარ როლზე მარინა ჯანაშია დააკავა.

ვერ ვიტყვით, რომ ქართველი მაყურებელი უინტერესოა. შესაძლოა, ხელოვნების ამ დარგისთვის ბევრი ვეღარ "იცლის", მაგრამ თბილისის თეატრების სხვადასხვა ტიპის სცენებზე, ამ ბოლო დროს იმდენად უინტერესო და უღიმღამო წარმოდგენა თამაშდება, რომ სიმართლე გითხრათ, მიკვირს თეატრში მოსულ მაყურებელს რომ ვხედავ. მათ სპექტაკლებზე დასწრების სურვილს, ხშირად, სწორედ რეჟისორები უკარგავენ თავიანთი გაუაზრებელი, თითქოს, შეცდომით "ჩადენილი" წარმოდგენებით, ხან კიდევ, მსახიობები... და რა კავშირშია ეს ყოველივე ამ წარმოდგენასთან? გეტყვით!

უიღბლო სიყვარულის, ბედის უკუღმართობის, მარტოობისა და იმედგაცრუების, სენტიმენტალური ისტორია სცენაზე სამი მსახიობის დახმარებით თამაშდება. ამ პერსონაჟებს თეატრის სიყვარული აერთიანებთ. მათ შორის ორი მათგანი - ელისაბეტი (მარი ჯანაშია) და მისი ახალგაზრდა საყვარელი - ჟანი (ლევან ხურცია) - უიღბლო მსახიობია, ლუსიენი (ბაჩო ჩაჩიბაია) კი, სასტუმროს მსახური ბიჭი. მსახიობის ცხოვრებაში ყველაფერი მოჩვენებითი და ეფემერულია, ერთადერთი ჭეშმარიტების გარდა - თეატრით ცდუნება და სცენის სიყვარული მათ სხეულსა და სულში ხიწვივით უზით - აი, ასეთია ამ ნაწარმოების მთავარი არსი, რომელიც პერსონაჟთა დიალოგებში იკითხება. საგანის ეს პიესა სცენაზე სახეშეცვლილი გადავიდა. დამდიდრებული-თქო ვერ ვიტყვი, რადგანაც მუსიკალური ჩართვები, რომლებიც რეჟისორმა წარმოდგენაში შეიტანა, მოქმედების რიტმს აგდებს, თხრობასაც აფერხებს და მსახიობებსაც "ურთულებს" საქმეს. აი, ამას ვგულისხმობდი, როდესაც რეჟისორთა "დანაშაულზე" ვსაუბრობდი.

სპექტაკლის კომპოზიტორია გოგი ჩლაიძე, მუსიკალური გამფორმებელი - ია საკანდელიძე. მსახიობი ქალის ნივთებით სავსე, იაფფასიანი სასტუმრო ოთახის გაფორმება კი, მხატვარ თემურ ნინუას ეკუთვნის, რომელმაც შუახნის ქალბატონის ცხოვრების სევდიანი პერიოდი სენტიმენტალურად, ნაცნობი ასოციაციით გამოსახა.

ვფიქრობ, ამ სპექტაკლში ყველაზე კარგი სცენა, სადაც ავტოკატასტროფაში მოყოლილი ელისაბეტი, საყვარელის დახმარებით, ცეკვავს და წამიერად ვარდება ილუზიაში, რომ ბედნიერი და ჯანმრთელია. ასევე, საინტერესოა მისი და ლუსიენის (ბაჩო ჩაჩიბაია) ურთიერთობები, რამდენადაც სწორედ მათ დამოკიდებულებაში იკითხება ამ ქალის, როგორც თეატრზე შეყვარებული, მეოცნებე პერსონაჟის სახე. მთლიანობაში, წარმოდგენა მაყურებელში სენტიმენტალურ განცდებს იწვევს. თუ რეჟისორის ამოცანაც მხოლოდ ეს გახლდათ, მაშინ ის შესრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, კამათი იმაზე, რამდენად სრულყოფილია, მხატვრული თვალსაზრისით, წარმოგდენა, ნამდვილად შეიძლება.

# ოპერა და ბალეტი ინტერნეტში

## ფასიანი ინტერნეტჩვენება თეატრალებსისა და მელომანებისთვის

პლანეტის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ადამიანებისთვის, მსოფლიოს საუკეთესო თეატრებში დადგმული ოპერის ან ბალეტის ხილვა ამიერიდან ნებისმიერისთვის გახდება შესაძლებელი. ამისთვის სახლიდან გასვლა სულ არ არის საჭირო - ყველაფერი ინტერნეტის საშუალებით პირდაპირ ეთერში საკმაოდ შეღავათიან ფასებში გადაიცემა. დიდი თეატრების: ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერის, ციურიხის ოპერის თეატრის და პარიზის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმების ხილვა, კომპანია Classical TV-ს დამსახურებითა და საშუალებითაა შესაძლებელი.

2009 წლის თებერვალში Classical TV ინტერნეტში საკუთარ ახალ საიტს გახსნის, სადაც უმაღლესი ხარისხით გადმოცემული თითო დადგმის ყურებას დაინტერესებული მაყურებელი მხოლოდ 10 დოლარად შეძლებს. თანხის გადარიცხვა მხოლოდ ფოსტის საშუალებით იქნება შესაძლებელი. Classical TV-ს მმართველი და პროექტის დირექტორი - კრის ჰანტი (Chris Hunt) იმედოვნებს, რომ ამ ტიპის საიტებს შორის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და კლასიკური ვიდეოჩანაწერებით სპეციალიზირებული მსხვილმასშტაბიანი საიტი გახდება. საიტის პრემიერაზე ჯონათან მილერის დადგმული და ინგლისის ნაციონალური ოპერის თეატრის (ENO) მიერ შესრულებული პუჩინის "ბოჰემა" იქნება წარმოდგენილი. ყოველ ორ კვირაში ერთხელ Classical TV ოპერისა და ბალეტის მოყვარულებს, ახალი დადგმის პირდაპირ ეთერის ტრანსლაციას შესთავაზებს. ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერა 11 ჩანაწერს შემოგვთავაზებს, რომელთა შორისაც თეატრის 125 წლისთავისთვის მიძღვნილი გალა-კონცერტიც იქნება შესული. არ უნდა დავივიწყოთ თეატრიც: ინტერნეტში თეატრალური დადგმების, მაგალითად, სამეფო შექსპირის საზოგადოების (Royal Shakespeare Company) მიერ სერ იენ მაკელენის მონაწილეობით დადგმული "მეფე ლირი" სპექტაკლი და კიდევ სხვა დადგმები იქნება წარმოდგენილი. ინტერნეტში სრულიად უფასოდ ოპერის, ბალეტისა და თეატრის დადგმების, ასევე ჯაზის კონცერტებისა და კლასიკური მუსიკის 1100 საათიანი ვიდეოჩანაწერების არქივის ნახვაც იქნება შესაძლებელი.

2008 წელს ცნობილმა თეატრებმა და საკონცერტო დარბაზებმა, მათ შორის კოვენტ გარდენმა, მეტროპოლიტენ ოპერამ და ბერლინის ფილარმონიამ ქსელში თავიანთი სპექტაკლებისა და კონცერტების განთავსება დაიწყეს. მსოფლიოში პირველად საკუთარ პირდაპირ ტრანსლაციაზე უფლების მოპოვება ვაგნერის ბაიროითის ფესტივალმა შეძლო.

### კონსერვატორიის დიდ დარბაზში გალა კონცერტი გაიმართება

დღეს, 23 იანვარს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი გაიმართება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატები - სენდი ვართანოვა, სანდრო სიდამონიძე, ირმა გიგანი, ანა ყიფიანი, ანა გოგავა, ლექსო პირმისაშვილი,ცოტნე ცოცხალაშვილი, ქეთევან ტიღაშვილი და ნოდარ ბიწაძე. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ასევე სიმებიანი კვარტეტი თორნიკე უგრეხელიძის, მარიამ მაჩაიძის,ნიკა ბარათელის და ლიზი რამიშვილის შემადგენლობით. ასევე N1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი და ორკესტრი და N1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულები ნია და ანი სულხანიშვილები, თამარ ბერაია და მარიამ მაღრაძე.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ამსტერდამში ქართველ მხატვართა გამოფენა გაიხსნება

კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, პროექტ "ქართული სეზონის" ფარგლებში, დღეს ამსტერდამის მუზეუმ "კობრაში" თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა გაიხსნება. ექსპოზიციაზე - "დაბადებული საქართველოში" 100-ზე მეტი ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი. გამოფენას საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი გახსნის.

პროექტ "ქართული სეზონის" ფარგლებში გამოფენაში მონაწილეობას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სხვადასხვა თაობის ოცზე მეტი მხატვარი მიიღებს: გურამ წიბახაშვილი, ილიკო ზაუტაშვილი, კოკა რამიშვილი, გიო სუმბაძე, მაია სუმბაძე, ნინო ჩუბინიშვილი, ვატო წერეთელი, ნინო სეხნიაშვილი, თეა თელია, თამუნა ქარუმიძე, ნიკო ცეცხლაძე, ანდრო ვეკუა, ირა კურმაევა, მაია ნავერიანი, ლიკა ლასარეიშვილი, გია ეძგვერაძე და მისი ჯგუფი.

სამინისტროს დაფინანსებით, ამსტერდამში უკვე გამოიცა ქართული თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ამსახველი კატალოგი. კატალოგის პრეზენტაცია გამოფენის გახსნაზე მოეწყობა.

მუზეუმი "კობრა" ევროპაში ერთ-ერთი ცნობილი და პრესტიჟული საგამოფენო სივრცეა, რომელიც წლიდან წლამდე მსოფლიოს გამოჩენილი ხელოვანების ექსპოზიციებს აწყობს. 2008 წელს "კობრა" ჰოლანდიის საუკეთესო მუზეუმად დასახელდა. 2009 წელს მუზეუმში დაგეგმილ გამოფენათა შორის ქართული ექსპოზიცია ერთ-ერთი მასშტაბური და გრძელვადიანი იქნება. გამოფენა ექვს თვეს გასტანს.

*მედიანიუსი*

### ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტების ფოტოასლებს გადასცემენ

23 იანვარს ისტორიის მეცნერებათა დოქტორები ნოდარ შენგელია და მირიან მახარაძე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცემენ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტების ფოტოასლებს, რომლებიც აქამდე სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახებოდა. აღნიშნულ არქივზე მუშაობა აქამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრში ხორციელდებოდა.

2009 წლის 23 იანვრიდან ეს დოკუმენტები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტო-პირების ფონდში შეინახება.

ისტორიული დოკუმენტების ჩამონათვალი: სამი წყარო თბილისის შესახებ (1730-1732) ეხება თბილისსა და გორის რაიონებს, მასში შემავალ სოფლებს და გადასახადებს; ჩილდირის ვილაიეთის მოკლე იჯმალ დავთარი (1590-1622) -ეხება სამხრეთ საქართველოს კერძოდ, ტაო-კლარჯეთის მხარეს; ბათუმის ლივის იჯმალ დავთარი (XVI საუკუნი ბოლო მეოთხედი); სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი. შიფრი 1031 ეხება ბათუმისა და არხავის შემოგარენს.

*მედიანიუსი*

### ქართულ-რუსული ომის ამსახველი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია გაიმართება

დღეს კინოს სახლში ქართულ-რუსული ომის ამსახველი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია გაიმართება.

ფილმი ტელეკომპანია "ალანიამ" გადაიღო. ამის შესახებ ინფორმაციას სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსი ია ბარათელი ავრცელებს. იგი ამავდროულად ფილმის თანაავტორია. მისი თქმით, 56-წუთიანი ფილმში ასახულია ბევრი ექსკლუზიური კადრი. "ნაჩვენები იქნება გადამწვარი ქართული სოფლები და ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზები."-აცხადებს ბარათელი.დოკუმენტური ფილმი ტელეკომპანია "ალანიას" ეთერში 24 იანვარს, საღამოს გავა.

*მედიანიუსი*

### დღეს ამერიკული კონოაკადემიის უმაღლეს ჭილდოზე ნომინანტთა ვინაობა გაირკვევა

კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე წარდგენილ ნომინანტთა სიას დღეს კინოაკადემიის პრეზიდენტი სიდომ გეინისომი ოსკარის მფლობელ მსახიობთან, ფორესტ უიტაკერთან ერთად გაახმოვანებს. ამის შესახებ აკადემიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ პრეს-რელიზშია საუბარი. ნომინანტების გამოცხადების ცერემონიალი სემუელ გოლდუინის სახელობის თეატრში, ბევერლი - ჰილსზე დღეს, 22 იანვარს გაიმართება. ცერემონიალს ასობით ჟურნალისტი დაესწრება. ნომინატების დასახელების პროცესს კი ABABC გააშუქებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2009 წლისათვის საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

2. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე დაცვის პოლიციის დეპარტამენტში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას. დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: „ბანკი რესპუბლიკა“ ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის №345919, ბანკის კოდი 220101757 **გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავის შესყიდვა,** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის **23 იანვრის 12:00 საათიდან** 2009 წლის **12 თებერვლის 19:00 საათამდე,** ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

3. შესყიდვის საგანი:

| ლო-ტი № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| **თბილისი** | | | | | |
| 1 | ბენზინი "პრემიუმი", ოქტანური რიცხვი არანაკლებ აი-95 | ლიტრი | 95000 | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | ბენზინი "რეგულარი", ოქტანური რიცხვი არანაკლებ აი-92 | ლიტრი | 14000 | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
| 3 | დიზელი ლ-62 | ლიტრი | 15000 | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
| 4 | დიზელი "ევრო დიზელი" | ლიტრი | 20000 | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ შესყიდვის ობიექტის ცალკეული ნაწილების (ლოტების) შესრულების უფლება. საქონლის მიწოდება გამარჯვებულმა პრეტენდენტებმა უნდა განახორციელონ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკების შესაბამისად.

5. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ან დაზღვევა მისი ღირებულების **1%**-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას **30** კალენდარული დღით. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ **30** კალენდარული დღე სატენდერო წინადადების წარმოდგენის დღიდან.

7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ფორმით და ოდენობით: საბანკო გარანტია ან დაზღვევა ხელშეკრულების საერთო ღირებულების **4%**-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას

8. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში ორ ეგზემპლიარად ( ერთი დედანი და ერთი ასლი) **2009 წლის 13 თებერვლის 15:00 საათიდან 2009 წლის 13 თებერვლის 16:00 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.**

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულმა პირებმა:**

ა) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

**ფიზიკურმა პირებმა:**

ა) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ

10. **შენიშვნა:** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში

11. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით **2009 წლის 13 თებერვლის 16:00 საათზე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

10. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

საკონტაქტო პირი – რევაზ ბერძენიშვილი ტ: **517506**. მობ: **895 10-06-05**

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს „საქაერონავიგაცია“ აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. (მისაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ტექნიკური აღწერილობა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში).

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად (პარტიებად) შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს „საქაერონავიგაცია“ ადმინისტრაციული შენობა. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის ბოლომდე. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული (ლოტების მიხედვით).

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს (პრეტენდენტს) შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას, სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის (პრეტენდენტის) მიერ გადახდილი სატენდერო დოკუმენტაციის საფასურის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 3 თებერვლის 16:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შპს „საქაერონავიგაცია“ ადმინისტრაციული შენობა.

სატენდერო დოკუმენტაციის საფასური გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ ს/კ 208144051

ა.ა. N111467601, „თი-ბი-სი“ ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო დოკუმენტაციის საფასური, კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა (პრეტენდენტებმა) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 3 თებერვლის 10 საათიდან 16:00 საათამდე** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**სატენდერო** წინადადების გახსნა მოხდება **2009 წლის 3 თებერვალს 16.00 საათზე** მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შპს „საქაერონავიგაცია“ ადმინისტრაციული შენობა.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის (სანაციის) საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% (ერთი პროცენტის) ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2% (ორი პროცენტის) ოდენობით.

***შენიშვნა:***

*- დასაშვებია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენა უცხო ენაზე დედნის სახით და/ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, რომლებსაც აუცილებლად უნდა დაერთოს შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი.*

*- ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ ტელ: 74-43-73.

*სატენდერო კომისია*

# სპორტი

## "თავისუფლები" სეზონს ეროვნულით შეუდგნენ

გიგა გურასაშვილი

*თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი ადრეული წლებისგან განსხვავებით უკეთ ორგანიზებული გამოდგა, მაგრამ ჭიდაობის გულშემატკივარი ერთის მხრივ მაინც გაწბილებული დარჩა. საქმე ისაა, რომ საქართლოოს ნაკრების პირველმა ნომრებმა ასპარეზობას მაყურებლობა ამჯობინეს. ერთადერთი რასაც წინასწარ ვიყავით შეგუებუნი ის იყო, რომ ხალიჩაზე ვერ ვიხილავდით პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს რევაზ მინდორაშვილს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ მას დასვენების მეტი საშუალება მისცა. სხვა დანარჩენებს კი ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატისთვის უმთავრეს გუნდში საკუთარი ადგილისთვის ბრძოლისკენ მოუწოდა.*



*საღირაშვილი შარშან 84 კილოგრამში გახდა საქართველოს ჩემპიონი, წლეულს კი მისთვის ჩვეულ 74-ში*

ევროპის ჩემპიონატის წინ ნაკრების დასაკომპლექტებლად უპირატესობა ეროვნულ ჩემნპიონატს უნდა მინიჭებოდა. მართალია, ჩემპიონები კონტინენტის უმთავრეს ხალიჩაზე საასპარეზოდ გარანტირებულ საგზურებს ვერ დაეუფლებოდნენ, მაგრამ მას რომ მეტად მიუახლოვდებოდნენ ცხადზე ცხადი იყო. საქმე ისაა, რომ მათი სახით პირველი ნომრები სპარინგ-პარტნიორებს, ნაკრები კი მათ შემცვლელებს იძენდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით კი საქართველოს ჩემპიონატი ასეთი სახით შედგა.

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვლადიმერ ხინჩეგაშვილს ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. მასაც იმედები არ გაუწბილებია და ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ხინჩეგაილმა ქართული საჭიდაო სამყარო ჯერ კიდევ შარშან აალაპარაკა, ფაქტობრივად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. 17 წლის მოჭიდავე ჭაბუკებს შორის ჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატიც. ამას მოყვა გამარჯვებები ახალგაზრდებს შორის საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. პლუს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. ახლა კი...

ახლა ხინჩეგაშვილისგან უფროსებში ჩემპიონებას ბევრი არ ელოდა, მაგრამ საკუთარი ოსტატობით იმდენს მიაღწია, რომ საჭიდაო სამყარო აალაპარაკა. 60 კილოგრამში მოქმედმა ჩემპიონმა მალხაზ ქურდიანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა შიდა კონკურენციაში უპირატესობა, თანაც ისე, რომ ყველა უშუალო კონკურენტის ბარიერი გადალახა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში უმთავრეს ფავორიტად კობა კაკალაძეს მიიჩნევდნენ, მაგრამ საჩემპიონო ბრძოლას მეოთხედფინალში გამოეთიშა. საქართველოს მოქმედ ჩემპიონსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონს ოქროს მედლის შანსი გორელმა მალხაზ მუზიაშვილმა წაართვა. მუზიაშვილმა ფინალში გააღწია და მოიგო კიდეც. აი, კაკალაძეს კი მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსი მიეცა, რომელიც გამოიყენა კიდეც. 74 კილოგრამში ოლიმპიური ნაკრების წევრმა გელა საღირაშვილმა შარშანდელი ჩემპიონატი 84 კილოგრამში მოიგო, წლეულს კი ასეთივე წარმატებას მისთვის ჩვეულ წონაში მიაღწია.

საქართველოს ჩემპიონატმა გაცილებით მეტი მოესირე მეორე დღეს შემოიკრიბა.

სხვაობა იყო ისიც, რომ პირველი დღისგან განსხვავებით, ასპარეზობები ადრე დასრულდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მედლები სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა.

84 კილოგრამ წონითი კატეგორიის ფავორიტის რევაზ მინდორაშილის არ ყოფნა სხვათათვის უკვე ბევრს ნიშნავდა. მსოფლიოს შარშანდელი ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ბექა ჭელიძემ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ასაკობრივი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორს ნიკოლოზ გაგნიძეს აჯობა.

განსაკუთრებული ყურადღებას იპყრობდა 96 კილოგრამ წონითი კატეგორია. ეს ის წონაა, რომელშიც მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონობა მოუპოვებია ლუკა კურტანიძეს, ხოლო გიორგი გოგშელიძეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა უმაგრებს ზურგს. აქედან გამომდინარე გულშემატკივარი ფინალში სწორედ მათ შეხვედრას ელოდა. მოხდა ისე რომ ნაკრების უფრო ახალგაზრდა წევრმა გიორგი გოგშელიძემ საქართველოს ჩემპიონატზე უარი თქვა, ასპარეზს დაბრუნებულმა კურტანიძემ კი ჩემპიონობა მოიპოვა და იმავდროულად საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაზეც სერიოზული განაცხადი გააკეთა.

სხვა წონითი კატეგორიებისგან განსხვავებით ყველაზე მოშილიფებული მძიმე წონა აღმოჩნდა. საქართველოს ჩემპიონობისთვის ხალიჩაზე მხოლოდ ცხრა ფალავანი გავიდა. ამათთან სამი უმთავრესი ფავორიტი კენჭისყრამ ბადის ერთ მხარეს მოაკალათა. მათ შორის საუკეთესო კი დავით ოთიაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც თავდაპირველად გზიდან ჩამოიშორა დავით ნიკურაძე, ნახევარფინალში კი ალექსი მოდებაძე. აგულისხმოა ისიც, რომ ოთიაშვილი ორივე მათგანთან მარცხდებოდა, მაგრამ ბოლოსკენ ორივეს ორ რაუნდში მოუმთავრა საქმე. მომავალი ჩემპიონისთვის ყველაზე იოლი ფინალი გამოდგა. ოთიაშვილმა ქუთაისელ კობა კერესელიძეს წუთსა და 52 წამში ჩემპიონობა აართვა. ამასთან მასთანაც აგებდა.

## ტოჩინოშინმა შანსი შეინარჩუნა

ტოკიოში მიმდინარე ბაშოს მეთორმეტე საასპარეზო დღის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გამოცდილი ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია (იგივე კოკაი) ტურნირს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს და თებერვლის ბანძუკეს გამოქვეყნების შემდეგ რეიტინგშიც დაქვეითდება. მეორე ქართველი ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) ჯერ კიდევ ინარჩუნებს ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსს, თუმცა ახალგაზრდა სუმოისტს ეს ძალიან გაუჭირდება. გუშინ ტოჩინოშინმა ოშიდაშის ილეთით დაამარცხა აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირა ჰოკუტორიკი და ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე მის ანგარიშზე შვიდი მარცხი და რვა გამარჯვებაა. თუ გორგაძემ დარჩენილი სამი ბრძოლაც მოიგო, სეზონის პირველ სუპერტურნირს დადებითი ბალანსით დაასრულებს.

რაც შეეხება კოკაის, ის აღმოსავლეთის ოძეკ კოტოშუსთან დამარცხდა და რვა წაგება დაუგროვდა, რაც იმის მაუწყებელია, რომ დარჩენილი სამი ბრძოლის მოგების შემთხვევაშიც კი ლევან ცაგურიას შვიდ გამარჯვებაზე მეტი არ ექნება და ბაშოს უარყოფითი ბალანსით დაამთავრებს.

მორიგი გამარჯვებები იზეიმეს ასოშორიუმ და ჰაკუჰომ. ასოშორიუ იმპერატორის თასის მოგების მთავარ ფავორიტად რჩება, თუმცა ჰაკუჰოს მასთან ბრძოლის დროს ექნება ვითარების გამოსწორების შანსი.

დღეს ტოჩინოშინი ხვდება დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა არანს, რომელსაც, ისევე როგორც კოკაის, რვა წაგება დაუგროვდა. კოკაის მეტოქე კი იქნება აღმოსავლეთის სეკივაკე კისენოსატო, რომლისთვისაც ქართველთან ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კისენოსატოს ექვსი გამარჯვება და ექვსი მარცხი აქვს და, კოკაის ძლევის შემთხვევაში, სეკივაკეს ტიტულის შენარჩუნების რეალური შანსი ექნება.

### ყენია 25 საუკეთესოს შორის

ვებგვერდმა www.spox.com-მა მსოფლიოს მასშტაბით 21 წლამდე ასაკის 25 საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. მათ შორისაა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „შალკეს" ნახევარმცველი ლევან ყენიაც. გამორჩეული ახალგაზრდები არიან ლონდონის „არსენალში" მოთამაშე 20 წლის ბრაზილიელი, 19 წლის ინგლისელი თეო უოლკოტი, „ბაინერნის" 19 წლის ტალანტი ტონი კროოსი, „მანჩესტერ იუნაიტედის" 18 წლის ბრაზილიელი რაფაელი, „ტოტენჰემში" მოთამაშე 19 წლის მექსიკელი ჯოვანი დოს სანტოსი, „ლევერკუზენის" 20 წლის ბრაზილიელი რენატო, წარმოშობით თურქი და გერმანიის მოქალაქე, „ვერდერის" 21 წლის ნახევარმცველი მესუთ იოზილი, „ჰოფენჰაიმის" 21 წლის გერმანელი მცველი ანდრეას ბეკი, „ლუგანოს" 20 წლის იტალიელი ვინჩენცო რენელა, „ვალიადოლიდში" მოთამაშე სეხიო ასენიხო...

ყენია 25-ე ადგილზე აღმოჩნდა, თუმცა ნახევარმცველისთვის ესეც დიდი პატივია. ვებგვერდმა 25-ვე ფეხბურთელი ორიოდე სიტყვით დაახასიათა. ყენიაზე ამბობენ: "მასზე „შალკეში" დიდ იმედს ამყარებენ. ყენიამ ჯერ კიდევ 17 წლისამ დაიმსახურა გერმანული კლუბის ყურადღება".

### მსაჯები ცნობილია

11 თებერვალს საქართველოს ეროვნული ნაკრები ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში მასპინძელთა ნაკრებთან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებს. ირლანდია-საქართველოს ოფიციალურ მატჩს ფინელ მსაჯთა ოთხეული მოემსახურება ასეთი შემადგენლობით:

მთავარი მსაჯი - იუნი ჰუუტია; ასისტენტები - იუკა-პეკა კოსკელა და მიკო ალაკარე; მეოთხე მსაჯი - ტონი ასუმაა. მსაჯთა დამკვირვებელი იქნება ნორვეგიელი იონ სკიერვოლდი, კომისარი კი - შვეიცარიელი გუიდო კორნელა.

### ქეცბაიამ და წიტაიშვილმა თასზე იყოჩაღეს

თემურ ქეცბაიას "ანორთოსისმა" კვიპროსის თასის მეოთხედფინალში წარმატებით იასპარეზა და "აპოლონს" 2:1 სძლია. ფამაგუსტელთა რიგებში კლიმენტი წიტაიშვილმა პირველ ტაიმში ითამაშა, შემდეგ კი ბრაზილიელ სავიოს დაუთმო ადგილი.

ამ უკანასკნელმა 81-ე წუთზე გამოიჩინა თავი, ანგარიში კი მე-16 წუთზე სოსინმა გახსნა. აპოლონელებმა საპასუხო ბურთი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაიტანეს.

### ლომაია „ზარიადან" „ვიტ ჯორჯიაში" დაბრუნდა

„ვიტ ჯორჯიას" ცენტრალური მცველი დავით ლომაია, რომელიც თბილისურ კლუბთან კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ უკრაინის უმაღლესი ლიგის ლუგანსკის "ზარიაში" ისინჯებოდა, კვლავ "ვეტერინართა" რიგებშია. ამის შესახებ თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ განაცხადა. მისი თქმით, თურქულ შეკრებაზე მყოფ მის გუნდს იდეალური საწვრთნელი და საცხოვრებელი პირობები აქვს შექმნილი. "ვიტ ჯორჯია" თურქეთში 18 იანვრიდან იმყოფება. მუმლაძემ განაცხადა, რომ გუნდს პირველი საკონტროლო მატჩი 23-ში აქვს დაგეგმილი. "ვეტერინართა" მეტოქე რუმინული "პანდური" იქნება. შეხვედრა თბილისის დროით 17:30-ზე დაიწყება.

ცვლილებაა ქართველთა სპარინგებს შორის. 30 იანვარს საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი, დაგეგმილი რუსული "ტომსკის" ნაცვლად, რუმინეთის ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "ოტოპენს" გაეჯიბრება.

### "კაჭკაჭებმა" იჩხუბეს

ინგლისის პრემიერლიგაში მოასპარეზე "ნიუკასლის" ვარჯიშზე ფეხბურთელებს - შარლ ნზონგბიასა და ენდრიუ კეროლს შორის კონფლიქტი მოხდა, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა. ინციდენტის მიზეზი გახდა წვრთნის ერთ-ერთ ეპიზოდში ნზონგბიას წინააღმდეგ კეროლის მიერ გამოყენებული უხეში ილეთი. ჩხუბი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მას შემდეგ, რაც ფეხბურთელებმა ერთმანეთს თითოჯერ გაარტყეს, ისინი თანაგუნდელებმა გააშველეს.

### ივანოვიჩის არჩევანი

"მანჩესტერ სიტიმ" ლონდონის "ჩელსის" ცენტრალური მცველის ბრანისლავ ივანოვიჩის შეძენის წინადადებით მიმართა. ივანოვიჩი "არისტოკრატთა" შემადგენლობაში ერთი წლის წინ მოსკოვის "ლოკომოტივიდან" გადაბარგდა, თუმცა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა. ეს არც არავის გაჰკვირვებია, რადგან "ჩელსის" უმაღლესი დონის სამი ცენტრალური მცველი ჰყავს - ჯონ ტერი, რიკარდუ კარვალიუ და ალექსი. ფეხბურთელის აგენტის ბოროზანის თქმით, მის კლიენტს მომავალში სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდება, თუ "ჩელსი" "სიტის" მიერ შეთავაზებულ 9 მილიონ ფუნტს აიღებს და ივანოვიჩს მანჩესტერულ კლუბში გაუშვებს. ფეხბურთელის აგენტმა ისიც აღიარა, რომ 24 წლის სერბი მცველის შეძენით მილანის "ინტერიც" არის დაინტერესებული. ბოროზანის მტკიცებით, დიდია იმის ალბათობა, რომ ივანოვიჩი "ჩელსის" იანვარშივე დატოვებს.

"მანჩესტერ სიტისგან" კარგი წინადადება მივიღეთ. ჩემი კლიენტი მზადაა მათ შეთავაზებას დათანხმდეს. ახლა ჯერი "ჩელსის" ხელმძღვანელობაზეა. თუ "არისტოკრატები" "სიტის" თანხმობას შეუთვლიან, ჩემი კლიენტი მანჩესტერში უახლოეს დღეებში გადავა. არც "ინტერში" გადასვლის პერსპექტივას გამოვრიცხავ. "სიტის" ვარიანტის ჩავარდნის შემთხვევაში ბრანისლავი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ სწორედ "ნერაძურის" წევრი გახდება," - ამბობს ბოროზანი.

### "რეალმა" 3 ათასი იზარალა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მადრიდის "რეალი" გულშემატკივართა უმსგავსო საქციელის გამო 3 ათასი ევროთი დააჯარიმა. ამის საფუძველი "რეალისა" და "ოსასუნას" მატჩის არბიტრის პერეს ბურულის განცხადება გახდა. ბურულის თქმით, შეხვედრის მიმდინარეობისას მადრიდელმა ფანებმა ნაცისტური შეძახილებით გამოიჩინეს თავი და სტუმარი ფეხბურთელების მიმართ არც უხამსი ჟესტები დაუშურებიათ. მსაჯმა აღნიშნა, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ექსტრემისტული და რადიკალური სიმბოლიკის მქონე ბანერებიც მრავლად იყო.

### რობინიოს თვითნებობა 320 000 ფუნტი დაუჯდა

ინგლისის "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობამ ბრაზილიელი ფეხბურთელი რობინიო გუნდის თვითნებურად მიტოვებისთვის 320 000 ფუნტით დააჯარიმა, რაც ფეხბურთელის ორი კვირის ხელფასია. თავად რობინიო ირწმუნება, რომ გუნდის ესპანური შეკრება კლუბის ხელმძღვანელობის თანხმობით დატოვა, რასაც "სიტის" არც ერთი წარმომადგენელი არ ადასტურებს. მეტიც, ინგლისელთა აღმასრულებელმა დირექტორმა გარი კუკმა სამხრეთამერიკელის საქციელს "მთელი კლუბის სირცხვილი" უწოდა. გარდა ამისა, "სიტის" ხელმძღვანელობამ რობინიოს ბრაზილიიდან დაუყოვნებლივ დაბრუნება მოსთხოვა, რათა იგი პრემიერლიგაში "ნიუკასლთან" გასამართი შეხვედრისთვის მოემზადოს.

### "ვალენსიამ" მეკარე დაიმატა

37 წლის ესპანელი მეკარე სეზარ სანჩესი "ტოტენჰემიდან" "ვალენსიაში" გადავიდა. ვეტერან კიპერსა და ლევანტიურ კლუბს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სეზონის ბოლომდე იქნება ძალაში, თუმცა კონტრაქტში არის ერთი პუნქტი, რომელიც, მხარეების თანხმობის შემთხვევაში, თანამშრომლობის გახანგრძლივებას ითვალისწინებს. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას "ბილბაოსთან" შეხვედრაში ტრავმა მიიღო ვალენსიელთა ძირითადმა მეკარემ, ბრაზილიელმა რენანმა, რომელიც კლუბს, სულ მცირე, ერთი თვით გამოაკლდა. ლევანტიელებს სწორედ ამის გამო დასჭირდათ ახალი კიპერის შეძენა.

### მუტარელიმ უქმობა დაასრულა

"ფიორენტინადან" ახალგაზრდა ფეხბურთელ პაბლო დანიელ ოსვალდოს გადაყვანის შემდეგ "ბოლონია" კიდევ ერთი ფეხბურთელით შეივსო. სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში მეჩვიდმეტე ადგილზე მყოფი გუნდის შემადგენლობა 31 წლის ნახევარმცველით მასიმო მუტარელით გაძლიერდა. მხარეებს შორის უკვე გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც 2011 წლამდე იქნება ძალაში. მუტარელი იანვრამდე "ლაციოს" საკუთრებად ითვლებოდა, თუმცა იტალიის მიმდინარე გათამაშებაში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. მიზეზი რომაული კლუბის ხელმძღვანელობასთან არსებული უთანხმოება იყო. ყველაფრის მიუხედავად, "ლაციოს" მაინც არ სურდა ფეხბურთელის გაშვება, რამაც მუტარელი იძულებული გახადა სასამართლოსათვის მიემართა. თემიდელებმა 31 წლის ნახევარმცველის სიმართლე ირწმუნეს და კლუბს მასთან კონტრაქტის გაწყვეტა მოსთხოვეს. საბოლოოდ ასე მოხდა და მუტარელი "ბოლონიაში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. კლუბი თავის ახალწვეულს ხუთშაბათს წარუდგენს ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს.

# საფეხბურთო პატრიოტიზმი თუ პრაგმატული გათვლა

ვასილ უდუმაშვილი

წამყვანი ფეხბურთელების კლუბიდან კლუბში გადასვლა ყოველთვის პრობლემური საკითხი იყო. აუცილებელი ხდება არჩევანის გაკეთება - კლუბისადმი ერთგულების დამტკიცება ან საფეხბურთო კარიერა და ფული. დღეს, როდესაც ფეხბურთი ბიზნესია, კარგი ფეხბურთელები კი - ძვირად ღირებული შემსრულებლები, საკლუბო პატრიოტიზმზე საუბარი ანაქრონიზმს ემსგავსება. საფეხბურთო გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ გუნდში ყოველთვის ერთი და იგივე ფეხბურთელები თამაშობდნენ.



კაკა - "მილანის" პატრიოტი თუ პრაგმატულად მოაზროვნე ვარსკვლავი?

საფეხბურთო ისტორია არაერთ სკანდალურ, ან, როგორც ახლა ამბობენ, რეზონანსულ ტრანსფერის იცნობს. ტრანსფერის სკანდალურობაზე მაშინ შეიძლება საუბარი, თუ დარღვეულია თანაფარდობა: ფული - ფეხბურთელის ნიჭი. ხოლო თუ ფეხბურთელში იმ რაოდენობის ფულს იხდიან, რაც მის ტალანტს შეესაბამება, სკანდალზე არ უნდა ვისაუბროთ.

ახლანდელ სატრანსფერო პერიოდში ორი ტიპის სკანდალებს წავაწყდით. ერთი, როდესაც მეგავარსკვლავი დიდ ფულზე ამბობს უარს და კლუბს არ იცვლის, და მეორე, როდესაც შედარებით პატარა ვარსკვლავი დიდი ფულის სანაცვლოდაც არ რჩება თავის კლუბში.

დავიწყოთ პირველით. ამ შემთხვევაში ორი მაგალითი გვაქვს. პორტუგალიელმა კრიშტიანუ რონალდუმ ყველანაირ შეთავაზებაზე უარი თქვა, არ მიიღო "რეალის" სარფიანი წინადადება და "მანჩესტერში" დარჩა. იგივე გააკეთა კაკამ, როდესაც უარი თქვა "სიტიში" გადასვლაზე და "მილანის" ერთგულება დაამტკიცა. ამ ორ შემთხვევაში რონალდუ უფრო ადეკვატურად იქცევა. პორტუგალიელი პატიოსნად ასრულებს კონტრაქტით დაკისრებულ მოვალეობას, გულისამაჩუყებელი გამოსვლებით არ ეფიცება "მანჩესტერს" ერთგულებას და, სავარაუდოდ, კონტრაქტის დასრულების შემდეგ "მანჩესტერსაც" დატოვებს. კაკამ კი ლამის აატირა ტიფოზები, როდესაც განაცხადა, რომ გადაწყვეტილება გულის კარნახით მიიღო და ამიტომ თქვა დიდ ფულზე უარი. თუმცა, რამდენად გულწრფელია კაკა, ძნელი სათქმელია.

რა არის მთავარი მსოფლიო დონის ფეხბურთელისთვის? ითამაშოს კლუბში, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ტიტულების მოგებაზე და მუდამ საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. თუ ასეთი რამ არსებობს, მაშინ ფეხბურთელი ფულს იღებს არა მხოლოდ კლუბისგან, არამედ მისი საბანკო ანგარიში უამრავი სარეკლამო კონტრაქტითაც ივსება. თავად დაფიქრდით, რაში სჭირდებოდა დევიდ ბექჰემს ამერიკიდან "მილანში" გადასვლა. ფული ამერიკაშიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ჭკვიანი ბექსი ხვდება, რომ ამერიკაში გადასვლით პოპულარობა დაკარგა - სანამ დევიდი ამერიკაში თამაშობდა, მის სახელს იშვიათად ნახავდით საგაზეთო სტატიებში. პოპულარობის დაკარგვა კი ავტომატურად იწვევს სარეკლამო კონტრაქტების დაკარგვასაც.

თუ კრიშტიანუ რონალდუსთვის "მანჩესტერიდან" "რეალში" გადასვლა არავითარ რისკთან არ არის დაკავშირებული, კაკას შემთხვევაში სულ სხვა ვითარებაა. ბრაზილიელს უნდა დაეტოვებინა მსოფლიო კულტურის, მოდისა და სპორტის ცენტრი - სწორედ ასეთი ქალაქია მილანი - და გადასულიყო პროვინციულ მანჩესტერში, თანაც ქალაქის არც ისე ძლიერ კლუბში. სუპერვარსკვლავისთვის ეს იგივეა, რაც რიგითი მოკვდავისთვის განათებული დარბაზიდან ბნელ სარდაფში გადაყვანა. იცით თუ არა, რა სარეკლამო კონტრაქტები აქვს კაკას? ვინ მისცემდა მას ამ კონტრაქტების შენარჩუნების გარანტიას, თუ ის "სიტიში" გადავიდოდა და ინგლისური პრემიერლიგის მეორეხარისხოვან გუნდში ითამაშებდა? ასე რომ, როდესაც კაკა "გულით იღებდა" გადაწყვეტილებას, ალბათ კალკულატორიც გვერდით ედო, რაც თავის დროზე არ გააკეთა ანდრეი შევჩენკომ, როდესაც "ჩელსიში" გადაბარგდა.

რაც შეეხება მეორე ტიპის სკანდალებს. აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ. ანდრეი არშავინი არაფრით არ თანხმდება სანკტ პეტერბურგის "ზენიტში" დარჩენაზე. არადა, საუკეთესო რუს ფეხბურთელს ნევისპირულ კლუბში იმდენს გადაუხდიან, რამდენსაც მოინდომებს. თუმცა არშავინი ხვდება, რომ "ზენიტი" არც "ბაიერნია" და "არც "არსენალი" და ამ დონის გუნდად უახლოეს წლებში ვერც იქცევა, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ არშავინს თამაში შეუძლია. ასეთ ვითარებაში არშავინი მზადაა გარისკოს, უარი თქვას ფულზე და სახელის მოსახვეჭად იბრძოლოს, იმ სახელის, რომელსაც "ზენიტში" ვერასოდეს მოიპოვებს. თუ რისკმა გაამართლა, ფულადი დანაკარგს, რომელზეც ახლა მიდის რუსი ფეხბურთელი, ის ერთიორად ამოიღებს.

საერთოდ, საკლუბო პატრიოტიზმზე საუბარი ალბათ უკვე მოძველებულია - ფეხბურთელი სათამაშოდ მიდის იქ, სადაც მისი კარიერისთვის უკეთესია. საკლუბო პატრიოტიზმის ცალკეული მაგალითები კი იმდენად ცოტაა თანამედროვე ფეხბურთში, რომ მათ ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც საკმარისია. საკლუბო პატრიოტიზმი ფეხბურთელის დონეზეა დამოკიდებული: თუ გინდა "ბარსელონას" პატრიოტი იყო, მოახერხე და მოხვდი ამ კლუბში, მოიპოვე ადგილი ძირითადში და იყავი პატრიოტი, სანამ ეს კლუბს დასჭირდება.

# ზიდანი "რეალში" ბრუნდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზინედინ ზიდანი დიდ ფეხბურთს გაცილებით ადრე დაუბრუნდება, ვიდრე ამას ელოდნენ.

თითქმის ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის პოსტი რამონ კალდერონმა დატოვა. სწორედ ამ დღიდან ესპანურ მედიაში აქტიურად საუბრობენ "რეალში" ფლორენტინო პერესის დაბრუნებაზე. მედიის მტკიცებით, საარჩევნო კამპანიაში პერესი სწორედ ზიდანის ფიგურას გამოიყენებს.



ზიზუ "რეალში" ფლორენტინო პერესთან ერთად დაბრუნდება

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, პერესი ზიდანს "სამეფო კლუბის" ახალგაზრდული შემადგენლობის მწვრთნელობას შესთავაზებს. ამ თანამდებობის დაკავების სურვილი თავად ზიდანმაც გამოთქვა. ახლა ზიზუ მადრიდში ცხოვრობს და მისი შვილები "რეალის" საფეხბურთო სკოლაში სწავლობენ.

თავის დროზე პერესმა სწორედ თავისი დაპირებების წყალობით დაიკავა "რეალის" პრეზიდენტის პოსტი. არჩევნების წინ მან პირობა დადო, რომ კლუბში ფიგუს, ზიდანს და რონალდოს მიიყვანდა და შეასრულა კიდეც. როგორც ჩანს, პერესმა ისევ ნაცადი მეთოდი აირჩია - "რეალის" ფანებს ზიდანის დაბრუნებას დაჰპირდა.

როგორც ვთქვით, ზიზუს ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელის პოსტს შესთავაზებენ, თუმცა ეს მხოლოდ ერთი ვარიანტია. უფრო სავარაუდოა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში პერესმა ზიდანს კლუბის სპორტული დიერქტორის თანამდებობა ჩააბაროს და დაითხოვოს პრედრაგ მიატოვიჩი, რომელიც ძალზე არაპოპულარულია "სამეფო კლუბის" ფანებს შორის.

პერესი და ზიდანი დღემდე მეგობრობენ და მუდმივი კონტაქტი აქვთ. ერთხელ ზიდანს პერესისთვის უთქვამს კიდეც: "მე თუ დავბრუნდი, ეს შენთან ერთად მოხდება".

მოკლედ, თუ პერესმა არჩევნები მოიგო, ზიდანი "რეალში" დაბრუნდება და, სავარაუდოდ, დაიწყება ახალი "გალაქტიკოსის" შექმნა - პერესი ხომ მუდამ ოცნებობდა, "რეალი" "გალაქტიკოსად" ექცია.

## განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქონლის (საწვავის) შეძენასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში (2009 წლის 10 იანვარი გაზეთი „24 საათი“) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

შეიცვალოს მე-2 და მე-4 ლოტი, დაემატოს მე-5 ლოტი და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| ლოტი | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| N1 | ბენზინი "სუპერი" , ოქტანური რიცხვი არანაკლებ АИ-97 | 18000 ლიტრი | მომწოდებლის ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით |
| N2 | ბენზინი "პრემიუმი", ოქტანური რიცხვი არანაკლებ АИ-95 | 640000 ლიტრი | მომწოდებლის ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით |
| N3 | დიზელი „ევრო-დიზელი“ | 12000 ლიტრი | მომწოდებლის ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით |
| N4 | ლ–62 დიზელის საწვავი გათბობისათვის | 35000 ლიტრი | მომწოდებლის ბენზოგასამართი სადგურებიდან და დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილას | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით |
| N5 | ბენზინი "რეგულარი", ოქტანური რიცხვი არანაკლებ АИ-92 | 120000 ლიტრი | მომწოდებლის ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით |

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთება.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:**

**ლოტი N1 -** ქ. თბილისში, ზაზიაშვილის ქუჩის კაპიტალური შეკეთების დამატებითი სამუშაოები;

**ლოტი N2 -** ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩის კაპიტალური შეკეთების დამატებითი სამუშაოები;

***შესრულების სავალდებულო ვადა: ლოტი N1 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე; ლოტი N2- ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 4(ოთხი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 12 თებერვლის 11:00 საათიდან 2009 წლის 12 თებერვლის 15.30 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-სა ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, **ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (2 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 23 იანვრიდან 2009 წლის 12 თებერვლის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

# The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.
- New York Times selects the articles each week specialy for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

# ვინუს უილიამსი ავსტრალიას დაემშვიდობა

ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე სათამაშო დღეს ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი სენსაცია მოხდა. ტურნირზე მეექვსე ნომრად განთესილმა და ავსტრალიის ღია პირველობის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა ვინუს უილიამსმა მსოფლიო ამქრის 46-ე ადგილზე მყოფ ესპანელ კარლა სუარეს ნავაროსთან დათმო ბრძოლა და ისღა დარჩენია დას ტრიბუნებიდან უგულშემატკივროს.

ვინუსისა და კარლა სუარესის მატჩით მთავრდებოდა გუშინდელი დღე ქალთა გათამაშებაში. ცენტრალურ კორტზე შეკრებილ გულშემატკივარს ალბათ არც კი ეგონა, რომ ასეთი სენსაციის მომსწრე გახდებოდა, მით უმეტეს, რომ პირველი სეტი ამერიკელმა იოლად მოიგო - 6:2. უილიამსის საქმე ცუდად წავიდა მეორე სეტში, რომელიც მან 3:6 დათმო, თუმცა ძნელი საფიქრებელი იყო, რომ თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მატჩს დათმობდა. მესამე სეტში ვინუსმა თითქოს ძალა მოიკრიბა, მეტოქის მოწოდებაზე ბრეიკიც გაახერხა და სეტს 4:2-ს იგებდა. მეტიც, ნავარომ ორჯერ მოახერხა მატჩპოინტის მოგერიება. როდესაც ანგარიში 5:4 იყო ვინუსის სასარგებლოდ, ამერიკელი გეიმში 40:15 დაწინაურდა. თამაშის მოგებისთვის ერთი ზუსტი დარტყმაღა იყო საჭირო, მაგრამ ესპანელი არ გატყდა, მეტოქეს არ დანებდა და თამაშიც შემოატრიალა. კარლა სუარეს ნავარომ გადამწყვეტი სეტი 7:5 მოიგო და გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდა.

„ის მაქსიმალურად კონცენტრირებული იყო და უაღრესად აგრესიული ჩოგბურთი შემომთავაზა, - თქვა მატჩის შემდეგ უილიამსმა, - არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს საუკეთესო მატჩი იყო მის კარიერაში. თამაშის მსვლელობას ვერ ვაკონტროლებდი და მხოლოდ მეტოქის შეცდომების იმედად ვიყავი. ცხადია, რომ სუსტად ვითამაშე."

ქალთა ტურნირში განსაკუთრებული სხვა არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა იოლად გაიმარჯვეს და აგრძელებენ ასპარეზობას. თუმცა ყველამ იოლად როდი მოიგო. სერენა უილიამსი ბეწვზე გადაურჩა მარცხს. ჟიზელა დულკოსთან მატჩში სერენა პირველ სეტს 0:3 აგებდა, თუმცა ძალები მოიკრიბა და სეტი მოიგო. მეორე სეტში ანალოგიური რამ მოხდა - დულკო 5:3 დაწინაურდა, თუმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ეს სეტიც დათმო. მსოფლიოს 45-ე ჩოგანს მეტი ყურადღებით რომ ეთამაშა, ორივე უილიამსი ერთად დაემშვიდობებოდა ავსტრალიის ღია პირველობას.



ვინუს უილიამსი ავსტრალიის ღია პირველობას გამოეთიშა

რაც შეეხება ვაჟებს, გუშინდელმა დღემ სენსაციების გარეშე ჩაიარა. ტურნირის მთავარმა ფავორიტმა რაფაელ ნადალმა იოლად დაამარცხა კარანუსიჩი. ყველაზე საინტერესო კი ივან ლუბიჩიჩისა და ჯო-უილფრიდ ცონგას მატჩი გამოდგა. ცონგამ ტურნირის დაწყების წინ ტრავმა მიიღო და მისი გამოსვლა საეჭვო გახდა, თუმცა ფრანგი მაინც გავიდა კორტზე. გუშინ მან ოთხსეტიან ბრძოლაში დაამარცხა ლუბიჩიჩი. მატჩი დაძაბული გამოდგა - სამ სეტში გამარჯვებულის გამოსავლენად ტაიბრეიკის გამართვა გახდა საჭირო. პირველ სეტში ლუბიჩიჩს გაუღიმა ბედმა, მეორე და მესამე ტაიბრეიკები კი ცონგამ მოიგო, რამაც, როგორც ჩანს, ლუბიჩიჩი საბოლოოდ გატეხა წელში. მეოთხე სეტი მან თითქმის უბრძოლველად დაუთმო ცონგას.

თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა "ოფთალმიჯი"
ს ი ა ხ ლ ე

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის
უკანასკნელი მიღწევა -
ფაკოემულსიფიკატორი "INFINITI"
კატარაქტის უნაკერო ქირურგიის
ახალი ერა საქართველოში

რქოვანის განაკვეთი მხოლოდ 2.2 მმ!!!

ტელეფონი: 30 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

2009 წლის 9 ინვარს გაზეთ „24 საათში“ ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ ქ. რუსთავის პოლიციის საქალაქო სამმართველოს შენობის სამშეენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერის განცხადების სათაურში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები.

1. განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ რედაქტირდეს შემდეგნაირად განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. სამუშაოს დასრულების ვადა 2009 წლის 1 ივნისამდე რედაქტირდეს შემდეგნაირად სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვეში.

---

**სააქციო საზოგადოება თბილსრესი** აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების ობიექტის - **თბოელექტროსადგურის მე-3 და მე-4 ენერგობლოკების** დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2 და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტი (გულუას ქ.№6).

საჯარო განხილვა მოეწყობა - გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2, 2009 წლის 17 მარტს, 14.00 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ **სს თბილსრესის** ადმინისტრაციას.

**სს თბილსრესი**

---

## განცხადება

**2209 წლის 21 იანვარს სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

ლოტი N 2-ში შესყიდვის ობიექტის სავალდებულო ტექნიკური პარამეტრებში შეტანილი ცვლილების საფუძველზე გაცნობებთ, რომ მითითებული გადაცემათა 5 სიჩქარიანი მექანიკური კოლოფის ნაცვალად მითითებული უნდა იყოს გადაცემათა **6 სიჩქარიანი** მექანიკური კოლოფი.

---

## სატენდერო განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზეთ „24 საათის“ 15 იანვრის ნომერში საწვავის და **I ლოტი:** ქ. მცხეთაში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების, მონახვეტისა და საოჯახო ნარჩენების გატანის, ნაგავსაყრელი ტერიტორიის მიწით დამუშავების მომსახურების; **II ლოტი:** ქ. მცხეთის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლუატაციისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადების ტექსტს დაემატოს შემდეგი:

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით, ასევე უნდა წარმოადგინონ მათი ქსეროასლები. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ სატენდერო განცხადებაში მითითებულ ვადებში ვერ წარმოადგენს სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულბის 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მექანიზმი.

**სატენდერო კომისია**

---

## ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში, ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ცენტრალურ შენობაში მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტისათვის“ საუნივერსიტეტო ფართის მოსაწყობად (30 476 მ2 სარეკონსტრუქციო ფართი) ინტელექტუალური მომსახურების (სრული საპროექტო დავალების მომზადება) შესყიდვის მიზნით 2008 წლის 24 ოქტომბერს გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვნილდა Henning Larsen Architect.

---

სამოქალაქო რესტრის სააგენტოს მიერ 2009 წლის 22 იანვარს საწვავის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში გაიპარა მექანიკური შეცდომა, ნაცვლად - „აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, საკანცელარიო საქონლის შესყიდვისთვის სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).“, უნდა იყოს „ აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, საწვავის შესყიდვისთვის სატენდერო მოსაკრებელი“.

**სატენდერო კომისიის აპარატი.**

---

სამოქალაქო რესტრის სააგენტოს მიერ 2009 წლის 22 იანვარს მკაცრი აღრიცხვისა და სხვა ბლანკების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში გაიპარა მექანიკური შეცდომა, ნაცვლად - „აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, საკანცელარიო საქონლის შესყიდვისთვის სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).“, უნდა იყოს „ აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, მკაცრი აღრიცხვისა და სხვა ბლანკების შესყიდვისთვის სატენდერო მოსაკრებელი“.

**სატენდერო კომისიის აპარატი.**

---

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

### შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ფასთა გამოკითხვას:

კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე ღუმელის ჯაჭვების დემონტაჟზე და მონტაჟზე.

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2009 წლის 27 იანვარი.

---

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

### შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ფასთა გამოკითხვას:

კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე ნედლეულის N3, 4 წისქვილებზე კაპიტალურ შეკეთებაზე.

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2009 წლის 27 იანვარი.

---

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

### შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ტენდერს

2009 წლისთვის ელექტრო მასალების შესყიდვაზე: შპს „საქცემენტის“ კასპის, რუსთავის და ქართული ცემენტის ქარხნებისათვის.

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge
თამარ დარახველიძე
წინადადებების შემოტანის ბოლო ვადაა: 2009 წლის 9 თებერვალი

---

## ცვლილება განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2009 წლის 9 იანვრის გაზეთში "24 საათი" ნავთობპროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება.

1) განცხადების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში **2009 წლის 2 თებერვლის 10 საათიდან 16 საათამდე** განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე."

*სატენდერო კომისია*

*23 იანვარი 2008 წელი*

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს სააგენტოს საჭიროებისათვის საწვავის შესყიდვაზე შემდეგი ლოტების მიხედვით:

| ლოტი | დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | საავტომობილო ბენზინი "პრემიუმი", ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95 | 30000 ლიტრი |
| 2 | დიზელის საწვავი "ევროდიზელი", ცეტანის რიცხვით არანაკლებ 50 | 53000 ლიტრი |

2. საქონლის მიწოდების სასურველი ვადები – 2009 წლის თებერვლიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

3. მიწოდების ადგილი: მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურებზე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ტალონების ან ბარათების საფუძველზე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად (დედანი და ასლი), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 13 თებერვლის 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

5.1.1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5.1.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

5.1.3. ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების შესახებ უნდა მოიცავდეს (შემსყიდველის დასახელება, მიწოდებული საქონლის რაოდენობა, მიწოდების პერიოდი) უკანასკნელი 2 წლის პერიოდს.

5.1.4. ცნობა ბანკიდან უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: 1. პრეტენდენტის საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ; 2. ბანკის მიმართ დავალიანების შესახებ; 3. ბოლო ერთი წლის განმავლობაში არსებული ბრუნვის შესახებ;

5.1.5. მოსაწოდებელი საქონლის სერტიფიკატი;

5.1.6. ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართი სადგურების შესახებ (აუცილებელია მისამართების მითითება);

5.1.7. საქონლის მიწოდების საბარათე სისტემის არსებობის შემთხვევაში დეტალური ინფორმაცია ბარათით საქონლის მიწოდების და კონტროლის მექანიზმის შესახებ (მაგ. პროგრამული უზრუნველყოფა, საბარათე სისტემის დანერგვის ღირებულება და ა.შ.).

5.1.8. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების და შემსყიდველის მოთხოვნიდან საქონლის მიწოდების ვადის შესახებ;

**5.2. იურიდიული პირისათვის:**

5.2.1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ;

5.2.2. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

5.2.3. ცნობები სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

5.2.4. სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

**შენიშვნა:** ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს ახლად აღებული (მაგ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ცნობა ყადაღის არსებობის შესახებ და ა.შ.).

6. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2009 წლის 23 იანვრიდან სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2, სააგენტოს შესყიდვების სამსახურში (III სართული).

8. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

**მიმღების დასახელება – ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში №200122900, მიმღები – სახელმწიფო ხაზინა, კოდი №220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი №302003000, გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.**

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან მეტი გამარჯვებული ლოტების მიხედვით.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ღირებულების 1%) და გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (სატენდერო წინადადების ღირებულების 3%).

11. პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 13 თებერვლის 16:30 საათზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

ქეთევან გელაშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის ქ.№2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (III სართული).

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო(მის: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4) აცხადებს ტენდერის საშუალებით მაღალი ხარისხის საავტომობილო საწვავის შესყიდვას და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

| ლოტი № | დასახელება | ზ/ე | მიწოდების ფორმა | რა-ბა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი "პრემიუმი" ოქტანური რიცხვი არანაკლებ AИ-95 | ლ | ტალონური/საბარათე სისტემა | 93,500 | ქ. თბილისი შიო ჩიტაძის ქუჩა № 4 |
| 2 | ბენზინი "ევრო რეგულარი" ოქტანური რიცხვი არანაკლებ AИ-92 | ლ | ტალონური/საბარათე სისტემა | 38,500 | |
| 3 | დიზელი "ლ-62" დიზელის საწვავი გათბობისათვის | ლ | სითხე | 6,000 | |

**2 . დაფინანსების წყარო:** სახელმწიფო ბიუჯეტი

**3. საქონლის მიწოდების წესი და ვადები:** პროდუქციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

**4.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ(მიმღები: ბიუჯეტი შემოსულობების ერთიანი ანგარიში(არასაგადასახადო შემოსულობები/თბილისი), ბანკი:სახელმწიფო ხაზინა ს.კ. 220101222, ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 300773174), განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 12 თებერვლის 15.00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**5.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი), 2009 წლის 13 თებერვალის 15.00 საათამდე, შემდეგი აღნიშვნით: პრეტენდენტის დასახელება, ტენდერის დასახელება, მისამართზე: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა N4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ოთახი 118, ტელ: 28-48-78 ან 28-48-58;

**6.** წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 13 თებერვალს 15.00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა N4, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ოთახი 118.

**7.** დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

**8**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა დაინფორმაციას:

**8.1 იურიდიული პირთათვის:**

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება; (ცნობა სასამართლოდან)
ბ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; (ცნობა საგადასახო ინსპექციიდან)
დ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსაჯვრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**8.2 ფიზიკური პირთათვის:**

ბ) ცნობა შ.ს.ს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსაჯვრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.(ინ. მეწარმის შემთხვევაში);

**8.3 იურიდიული და ფიზიკური პირთათვის**

ა) პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.
ბ) პრეტენდენტი უნდა იყოს ოფიციალურად რეგისტრირებული პირი (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).
გ) ცნობა,შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
დ) ცნობა საგადასახო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ
ე) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.
ვ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ანალოგიური ხასიათისა და მოცულობის მიწოდების შესახებ, დამკვეთის მითითებით.

**9**.იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

**11**. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შემსყიდველ ორგანიზაციაში.

**12**. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება

**13.** სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკი ან აკრედიტივი, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

**14**. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

**15.** ჩამოთვლილი მოთხოვნები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

**16**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში,მისამართზე ქ. თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა 4, ტელ: 28-48-78 ან 28-48-58

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „ქ. ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი" აცხადებს ტენდერს პანსიონატის საჭიროებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

| № | კვების პროდუქტების დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა (120-ბენეფიციარზე) | მიწოდების გრაფიკი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პური | კგ | 17568 | მოთხოვნილების მიხედვით, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე |
| 2 | ფუნთუშა | კგ | 5760 | |
| 3 | მჭადის ფქვილი | კგ | 580 | |
| 4 | პ/ფქვილი | კგ | 1152 | |
| 5 | ორცხობილა | კგ | 580 | |
| 6 | კანფეტი | კგ | 878 | |
| 7 | მაკარონის ნაწარმი | კგ | 2196 | |
| 8 | ბრინჯი | კგ | 2196 | |
| 9 | მანანის ბურღული | კგ | 732 | |
| 10 | წიწიბურა | კგ | 2196 | |
| 11 | ბარდა | კგ | 537 | |
| 12 | გარონი | კგ | 384 | |
| 13 | ბადრიჯანი | კგ | 500 | |
| 14 | ბულგარული წიწაკა | კგ | 200 | |
| 15 | კარტოფილი | კგ | 17560 | |
| 16 | კომბოსტო | კგ | 10980 | |
| 17 | კიტრი | კგ | 750 | |
| 18 | პომიდორი | კგ | 850 | |
| 19 | ისპანახი | კგ | 650 | |
| 20 | ლობიო | კგ | 538 | |
| 21 | მწვანილი სხვადასხვა | კგ | 1318 | |
| 22 | ჩარხი | კგ | 1758 | |
| 23 | ნიორი | კგ | 220 | |
| 24 | სტაფილო | კგ | 850 | |
| 25 | ჭარხალი | კგ | 850 | |
| 26 | ნიგოზი | კგ | 30 | |
| 27 | სუნელი | კგ | 44 | |
| 28 | ვანილი | კგ | 43 | |
| 29 | ტომატი | კგ | 658 | |
| 30 | ზეთი მცენარის | ლ | 1098 | |
| 31 | მარილი | კგ | 658 | |
| 32 | საფუარი(დროჟი) | ლ | 35 | |
| 33 | შაქარი | კგ | 2635 | |
| 34 | ძმარი | კგ | 50 | |
| 35 | სოდა | კგ | 182 | |
| 36 | ჩაი | კგ | 44 | |
| 37 | კაკაო | კგ | 132 | |
| 38 | კისელი | კგ | 658 | |
| 39 | კარაქი | კგ | 878 | |
| 40 | მარგარინი | კგ | 439 | |
| 41 | არაჟანი | კგ | 660 | |
| 42 | ხაჭო | კგ | 2196 | |
| 43 | მაწონი | კგ | 8784 | |
| 44 | ყველი | კგ | 1537 | |
| 45 | მაიონეზი | კგ | 439 | |
| 46 | რძის ფხვნილი | კგ | 183 | |
| 47 | შედედ. რძე | კგ | 1757 | |
| 48 | ქათმის ბარკალი | კგ | 749 | |
| 49 | სოსისი | კგ | 749 | |
| 50 | ხაში | კგ | 749 | |
| 51 | ხორცი საქონლის | კგ | 749 | |
| 52 | ხორცის კონსერვი | კგ | 640 | |
| 53 | ხორცის ფარში | კგ | 547 | |
| 54 | თევზი | კგ | 384 | |
| 55 | თევზის კონსერვი | კგ | 192 | |
| 56 | ვაშლი | კგ | 2196 | |
| 57 | ფორთოხალი | კგ | 732 | |
| 58 | მანდარინი | კგ | 732 | |
| 59 | საზამთრო | კგ | 1098 | |
| 60 | გამხმარი ხილი | კგ | 549 | |
